ალია

»N131/3061/ 9 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## „დეზერტირების“ ბაზრის „სტაიანკა“ გაყიდულია

როგორ ავიწროებენ თავისუფალ პრესას





„მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უკმაყოფილონი არიან ხელმძღვანელების პასიურობით“

## საჯარო სამსახურში ქართული ენის სერტიფიკატის გარეშე აღარ მიიღებენ

პირველი დონის სერტიფიკატის გარეშე პრეზიდენტობას, პრემიერობას, მინისტრობას ვერავინ მიაღწევს



# გამოძიებამ კიწმარიშვილის გარაჟში კიდევ ერთი სამხილი აღმოაჩინა



## რას ეუბნება ექსპერტი კახა კახიშვილი „ალიას“ მარგველაშვილის პარტიაში გაწევრიანებაზე?

## რა პროვოკაციებია პატრიარქის წინააღმდეგ მოსალოდნელი?



## რამდენი იქნება ჯარიმა მანქანიდან ნაგვის გადაგდებაზე, საოჯახო ნაგვის ქუჩაში დაყრაზე, ძაღლის გასეირნებისას ქუჩის ფეკალური მასებით დაბინძურებაზე





## ვინ მიაყენებს შემოდგომაზე უმძიმეს დარტყმას ხელისუფლებას „ოცნებიდან“?



## „ოქრიკა“ ცხინვალში დააკავეს

ლაშა მახარაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი „ოქრიკა“ ცხინვალში დააკავეს. არსებული ინფორმაციით, გიორგი ოქროპირიძე ოსურმა პოლიციამ ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანა.

ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 27 ოქტომბერს ჩაინიშნა. 27 წლის ლაშა მახარაძე 8 აგვისტოს აბაშიძის ქუჩაზე ჩაცხრილეს. (ნიუპოსტი)

## რა მოხდა „დინამო არენაზე“: „მამაკაცი, რომელსაც ხელში 3-4 წლის ბავშვი ეჭირა, პოლიციელმა ალყა შემოარტყა და ურტყამდა“



7 სექტემბერს, საქართველო-ირლანდიის საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე „დინამო არენაზე“ სამართალდამცველები ახალგაზრდა მამაკაცს მისი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკურად გაუსწორდნენ. ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მალევე გახმაურდა. უკვე ცნობილია ისიც, რომ მომხდართან დაკავშირებით შსს-ს გენინსპექცია შიდა მოკვლევას ჩაატარებს. როგორც თვითმხილველი ყვება, მატჩის დაწყებამდე მამაკაცი, რომელსაც ხელში 3-4 წლის ბავშვი ჰყავდა, სტადიონის მეორე იარუსზე ცდილობდა აღწევას და, როგორც ჩანს, ადგილთან დაკავშირებული პრობლემა შეექმნა.

„თითქოს იყო საუბარი იმაზე, რომ მამაკაცს ბილეთი არ ჰქონდა, ბილეთის გარეშე კი, მით უფრო გაძლიერებული დაცვის პირობებში, მოგეხსენებათ, შიდა ტერიტორიაზე შესვლას ვერ შეძლებდა. ის ცდილობდა, სამართალდამცველებისთვის აეხსნა, რომ ბავშვი ჰყავდა და ითხოვდა, მისთვის გზის შემოკლების უფლება მიეცათ. სამართალდამცველებმა ჯერ უხეში ფორმით უთხრეს უარი, რამაც სიტუაცია დაძაბა, შემდეგ კი მამაკაცს, რომელსაც ბავშვი კვლავინდებურად ხელში ეჭირა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. როცა ხელით პირველად შეეხნენ, მამაკაცმა თავის შეკავება შეძლო, თუმცა განმეორებით ხელის კვრის შემდეგ ბავშვთან ერთად დაეცა. წამებში ადგილზე 30-მდე პოლიციელი გაჩნდა, ძირს დავარდნილებს ალყა შემოარტყეს და მამაკაცს ურტყამდნენ. ამ დროს ბავშვიც წრის შიგნით იყო. ჩვენ ვერ ვახერხებდით მათთან მიახლოებას – პოლიციელებმა იქ მიმდინარე მოვლენებით გაღიზიანებული მაყურებლები ადვილად მოიგერიეს. ერთ-ერთმა პოლიციელმა დაიყვირა, „ხელები გადაუგრიხეთო“ და ფიზიკური შეურაცხყოფის თანხლებით გაიყვანეს შემთხვევის ადგილიდან, ბავშვი კი არც ერთ მათგანს არ გახსენებია. ამის შემდეგ ისევ მაყურებლებმა გაარიდეს სიტუაციას ისტერიკაში მყოფი პატარა, რომელიც მამას ითხოვდა. შემდეგ, როგორც გავიგე, ბავშვი მამამისის მეგობარმა ჩაიბარა, თუმცა რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს, აღარ ვიცი“, – აცხადებს თვითმხილველი. (ფრონტნიუსი)

## გიორგი გამსახურდია გამოცდების ეროვნულ ცენტრში მუშაობს




საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, ყოფილი პოლიციელი, გიორგი გამსახურდია გამოცდების ეროვნულ ცენტრში მუშაობს. აღნიშნულ ინფორმაციას opinion.ge ავრცელებს. მედიის ცნობით, გიორგი გამსახურდია ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის მრჩეველია უსაფრთხოების საკითხებში. თუმცა, კონკრეტულად რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრია მას და რატომ არის ეს სამსახური ცენტრისთვის აუცილებელი, ვერ აკონკრეტებენ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, მაია გაბუნიას განცხადებით, გიორგი გამსახურდია ამ თანამდებობაზე რამდენიმე თვის წინ დაინიშნა, თუმცა მისი მოვალეობების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

„ვადასტურებთ, რომ გიორგი გამსახურდია ნამდვილად მუშაობს ჩვენს ცენტრში. ის ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის მრჩეველია უსაფრთხოების საკითხებში. კონკრეტულად რა ფუნქცია აქვს მას, არ ვიცი, ეს დეტალებია და გარკვევის გარეშე ვერ გეტყვით. ვიცი, რომ გამსახურდია ცენტრში რამდენიმე თვის წინ დაინიშნა. ვერც იმას გეტყვით, არის თუ არა ის ე.წ. ოდეერის (უშიშროების) თანამშრომელი. ამის შესახებ არაფერი ვიცი“, – აცხადებს გაბუნია.

opinion.ge დაინტერესდა, ჰყავს თუ არა განათლების მინისტრს მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში. როგორც პრესსამსახურში გვითხრეს, სამინისტროს მსგავსი თანამდებობა არ აქვს. „მინისტრს მხოლოდ ორი მრჩეველი ჰყავს, შტატგარეშე მრჩეველია ოთო აბესაძე ახალგაზრდულ საკითხებში და შტატიანი თანამშრომელია რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი, ექსპერტი განათლების საკითხებში. სხვა მრჩეველი მას არ ჰყავს“, – განაცხადა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნათია პაპავამ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე naec.ge საჯარო ინფორმაცია, ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფისა და ცენტრის ხელმძღვანელის მრჩევლების შესახებ, არ იძებნება. (რეპორტიორი)

## მერიაში მისული 256 მოქალაქიდან დავით ნარმანიამ 33 მიიღო



თბილისის მერიასა და გამგეობებში დღეს 621 მოქალაქეს მოუსმინეს. ორშაბათის ტრადიციულ მიღებაზე მერიაში მისული 256 მოქალაქიდან დავით ნარმანიამ 33 მიიღო. შეხვედრები გაიმართა მერის მოადგილეებთან, საქალაქო სამსახურის უფროსებთან და რაიონების გამგებლებთან, სადაც 365 ადამიანს მოუსმინეს. მიღებაზე მოქალაქეებმა მერიასა და გამგეობებს საკუთრების უფლების აღდგენის, ბინის ქირით უზრუნველყოფის, დასაქმების, სწავლისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თხოვნით მიმართეს.

თბილისის მერის ინიციატივით, მოქალაქეთა მიღება ყოველ ორშაბათს 14:00-დან 18:00 საათამდე მიმდინარეობს. მიღების წესის მიხედვით, თითოეულ თბილისელს შესაძლებლობა აქვს, პრობლემატიკის მიხედვით, დედაქალაქის მთავრობის წევრებს შეხვდეს და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები გააცნოს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## აშშ საქართველოსთვის „შავი ქორების“ მიყიდვას აპირებს



გავლენიანი ამერიკული საინფორმაციო სააგენტო Reuters-ი აშშ-ს თავდაცვის მდივნის ჩაკ ჰეგელის საქართველოში ვიზიტზე წერს. როგორც სააგენტო აღნიშნავს, ჰეგელი 2003 წლის შემდეგ პირველი თავდაცვის მდივანია, რომელიც საქართველოს ესტუმრა. სააგენტოს ინფორმაციით, ქართულმა და ამერიკულმა მხარეებმა განიხილეს ამერიკული ვერტმფრენების „შავი ქორების“ (UH-60 Black Hawk) საქართველოსთვის მიყიდვის შესაძლებლობა. (news.ge)

## მოხსნეს თუ არა შსს-ს ანტიკორუფციულის უფროსი?




ცნობილი ხდება, რომ შსს-ს ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსი ხუტა პაჭკორია სამსახურიდან დაითხოვეს და ის ფინანსურ პოლიციაში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, მისი განთავისუფლების მიზეზი სამინისტროში ჩატარებული ნარკოტესტი იყო, რომლის დროსაც პაჭკორიას სისხლში ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩნდა. შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს, ამის გასარკვევად „პირველმა რადიომ“ შსს-ს რამდენჯერმე მიმართა თუმცა დაპირების მიუხედავად ჭიკაიძის უწყებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. (პირველი რადიო)

## „თავისუფალი ზონის“ წევრი წვრილმანი ხულიგნობისთვის დააკავეს



ზუგდიდში, სამართალდამცავებმა „თავისუფალი ზონის“ ერთი წევრი დააკავეს. შსს-ს განცხადებით, მისი დაკავება 166-ე მუხლით მოხდა, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, აღნიშნულს წინ უძღოდა ზუგდიდში, „თავისუფლებისა და მხარდაჭერის“ ცენტრის ოფისთან მომხდარი ინციდენტი.

„ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლები „თავისუფლებისა და მხარდაჭერის“ ცენტრის ოფისთან არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ერთ-ერთ გამვლელს, რასაც, როგორც ჩანს, მისი მხრიდანაც საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ეს დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის გამოც ადგილზე სამხარეო და საპატრულო პოლიციის მისვლა გახდა საჭირო. „თავისუფალი ზონის“ წევრი დააკავეს, თუმცა ის ამ დროისთვის განთავისუფლებულია“, – აღნიშნეს შსს-ში.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, დაკავებულის განთავისუფლება ხელწერილის საფუძველზე მოხდა. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ ოფისს თავს „ქართული ოცნების“ აქტივისტები დაესხნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში არ ადასტურებენ. (news.ge)

## NA-005-CI და QO-041-CI ჯერჯერობით დაჯავშნილი არ არის




## „ბურჟანაშვილი“ საბოლოოდ დაებერტყა ცირკის არენაზე“



კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე კომენტარს „ფეისბუკის“ საშუალებით აკეთებს. „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ლიდერის განცხადებით, „თუ ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში უნდა იდგეს რუსული სამხედრო ბაზები, ხოლო დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ საწვრთნელი, ხოლო შემდეგ სხვა ორგანიზაციის ან სხვა სახელმწიფოს ბაზები, ეს ნიშნავს, რომ ერთიანი საქართველოს ტერიტორიაზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკის ბაზები იქნება განლაგებული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ვერასოდეს დაწყნარდება და ჩვენ უნდა დავივიწყოთ კონფლიქტების დარეგულირებაზე საუბარი“. ეს განცხადება რურუამ ასე შეაფასა:

„დღეს ქ-ნმა „ბურჟანაშვილმა“, იგივე ნინო ბურჯანაძემ, ე.წ. „სალტო-მორტალე“ სცადა და ამჯერად საბოლოოდ დაებერტყა ცირკის არენას, როცა უკვე ღიად პუტინური პოზიცია დაიჭირა ნატოს საწვრთნელი ცენტრის საქართველოში გახსნის საწინააღმდეგოდ. მისი რიტორიკული არგუმენტის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „ნუთუ საქართველოში შეიძლება იყოს ორი დაპირისპირებული ქვეყნის სამხედრო ბაზა და ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ემსახურებოდეს?!“.

ჯერ ერთი, ნატოს საწვრთნელი ცენტრი სამხედრო ბაზა არაა. მეორეც ის, პოლიტიკასა და სამშობლოს ერთგულებაში ამ ჯიუტად ოროსან ქალს დაავიწყდა, რომ სწორედ დასავლურმა ბაზებმა და სამხედრო ყოფნამ ჯერ გადაარჩინა, და შემდეგ გაამთლიანა არა მარტო ორად გაყოფილი გერმანია, არამედ ორად გაყოფილი ევროპაც“. – წერს რურუა (პირველი რადიო)

## რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილმა კალათბურთელმა ცოლი მოკლა და თავი მოიკლა



ლიტვის საკალათბურთო ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა მარტინას ანდრიუკაიტისმა, თვითმკვლელობით სიცოცხლე მას შემდეგ დაასრულა, რაც საკუთარი 14 წლის ვაჟის წინ მეუღლე მოკლა. პოლიცია სახლში სწორედ მარტინასის ვაჟმა გამოიძახა. შემთხვევა რიგასთან ახლოს, ყოფილი კალათბურთელის სახლში მოხდა. ჯერჯერობით უცნობია, რატომ გაიმეტა კალათბურთელმა მეუღლე. მარტინასმა სპორტული კარიერა გასულ წელს რუსთავის „ოლიმპში“ დაასრულა და მას შემდეგ ის დაცვის სამსახურში მუშაობდა. (პირველი რადიო)



# „მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უკმაყოფილონი არიან ხელმძღვანელების პასიურობით“

„კვირის ქრონიკამ“ გამოაქვეყნა გიგი უგულავას საიდუმლო წერილი ციხიდან. ამ სკანდალური წერილიდან ირკვევა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ოცნების“ ხელისუფლებას აპოკალიფსს ჰპირდება. გიგი უგულავა საკუთარ თანაპარტიელებს მიმართავს და ივანიშვილის ხელისუფლებისგან ჩამოშორების გზებს სთავაზობს. უგულავა საკუთარ სცენარში არ გამორიცხავს ხელისუფლებაში რევოლუციური გზით მოსვლასაც, თუკი ისე მოახერხებენ სიტუაციის არევას, რომ მოხდება ის, რაც უკრაინაში, ასეთ შემთხვევაში ქუჩაში დაგდებულ ძალაუფლებას რევოლუციური სცენარით ხელში ჩვენ ავიღებთო. გიგი უგულავა კონკრეტულ გეგმას უსახავს საკუთარ თანაგუნდელებს: აპოკალიფსური სურათის შექმნა, კერძოდ, მოეწყოს პერმანენტული პატარ-პატარა აქციები, შემოდგომაზე აუცილებელი ერთი დიდი ტალღის გაკეთება, ერთდღიანი აქცია არ ივარგებს.

**მაშ ასე, რეალურად როგორი შემოდგომა ექნება საქართველოს? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ალიას“ კითხვებს უპასუხებს ექსპერტი მამუკა არეშიძე:**

**— „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, სათაურით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საიდუმლო გეგმა გაშიფრულია. გიგი უგულავას საიდუმლო წერილი ციხიდან“, რეზონანსი მოჰყვა, ჩვენ მოვისმინეთ პოლიტიკოსების განცხადება, თუმცა გამოირჩეოდა „ნაციონალი“ გიგი წერეთელი, რომელმაც თქვა, რომ წერილში გამოთქმული მოსაზრებები უცხო არ იყო. ძალიან გააქტიურებულია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ქოლგის ქვეშ მოძრაობენ. უკვე გაცემულია კონკრეტული შიდა დირექტივები. „ალიას“ მკითხველს უახლოეს ნომრებში უფრო მეტ სკანდალურ მასალებს შევთავაზებთ. თქვენი აზრით, როგორი შემოდგომა ელოდება საქართველოს მოსახლეობას?**

– ის სკანდალური წერილი, რომელიც „ქრონიკამ“ გამოაქვეყნა, არ ვიცი, ნამდვილად გიგი უგულავას ხელით არის დაწერილი თუ არა, მაგრამ ლოგიკა და პათოსი გვკარნახობს, რომ პრინციპში შეიძლება ასეთი რამ ნამდვილად იყოს. სხვათა შორის, როცა ეს წერილი წავიკითხე, იგრძნობა, რომ საქმიანად უდგებიან ეს ადამიანები თავის მოვალეობას. არაერთხელ მითქვამს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ორგანიზებული ძალაა, გარდა ურთიერთდაპირისპირებისა და შიდა დინებებისა, ისინი კონსოლიდირებულად მოქმედებენ. პარტიას პოლიტიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, აქედან გამომდინარე, ისინი ემზადებიან რევანშისთვის, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს ამ საკითხს ისტერიკით, გინებითა და ალელვებით რომ შევხედოთ, არ ღირს, ვფიქრობ, ცივი გონებით უნდა გავაანალიზოთ ის, რასაც „ნაციონალები“ გეგმავენ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს იმის ფინანსური რესურსიც, რომ აილონ რევანში. მათში ერთადერთი დეფიციტი რაც არის, ეს არის ელექტორალური რესურსი, ზუსტად ამ ელექტორატის მომზადებაზეა ორიენტირებული ამ წერილის შინაარსი, ეს წერილი და გეგმა, რომელიც, როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობს. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, „ნაციონალური მოძრაობის“ სვლები არ იქნება ორიენტირებული „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციაზე, არამედ მათი სვლები ორიენტირებული იქნება დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციაზე. ეს პროცესი კი კარგა ხანია მიმდინარეობს. აი, ამ ხელისუფლების დისკრედიტაციის პროცესში კი უკვე გამოჩნდება ახალი ძალები, უფრო სწორად პოლიტიკური ჯგუფები, ეს იქნება არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა ტიპის სოციალური გაერთიანებები, რომლის უკანაც იდგება „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ფულით. ეს ახალი პოლიტიკური ჯგუფი იქნება შეტევის ფრონტი, მათ უკან კი იდგება „ნაცმოძრაობა“.

**— აქვს კი „ნაცმოძრაობას“ იმის საშუალება, რომ აწარმოოს ამხელა კამპანია ხელისუფლების წინააღმდეგ?**

– მათ აქვთ ამის საშუალება როგორც ფინანსურად, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ ხელისუფლება უშვებს ბევრ შეცდომას, რითაც საშუალებას აძლევს მაღალორგანიზებულ ძალას, გამოიყენოს მთელი თავისი რესურსი. „ნაცმოძრაობა“ განსაკუთრებით ძლიერია ე.წ. პიარში, „ნაციონალები“ შესანიშნავად იყენებენ ხელისუფლების ნებისმიერ შეცდომას სათავისოდ, შედეგად მიიღებენ იმას, რომ დღევანდელი ხელისუფლების რეიტინგი ნელ-ნელა ეცემა, სამაგიეროდ, ამ პოლიტიკური ჯგუფების რეიტინგი მოიმატებს, რომელთაც „ნაციონალები“ წინ წამოსწევენ. შედეგი კი ის იქნება, რომ შეეცდებიან სახალხო მღელვარების გამოწვევას, „ნაცმოძრაობა“ მოახერხებს საკუთარი პარტიის რებრენდინგს, შეიძლება სხვადასხვა პარტიებშიც გაიფანტონ, ან ბლოკიც შექმნან რომელიმე ჯგუფთან. მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უკმაყოფილონი არიან მათი ხელმძღვანელების პასიურობით, გარდა ამისა, თვითონ ვერ გადაწყვიტეს, როგორი სტრატეგია აირჩიონ. ამ თვალსაზრისით „ქრონიკაში“ გამოქვეყნებული წერილი ძალიან საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რეალურად ეს არის თუ არა გიგი უგულავას დაწერილი. რაც ამ წერილში წავიკითხე, მე მათგან ფრაგმენტულად გამიგია ის საუბრები, რაც იქ

**„დაკვირვებული ადამიანი მიხვდება, რომ დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავება, რომელსაც რეალური დოკუმენტები უმაგრებს ზურგს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, მაგრამ, მოდით, ახლა სხვა რამესაც შევხედოთ... როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებიდან ვიღაც ძალიან აქტიურად თამაშობს კულუარებში რუსეთთან ურთიერთობის კუთხით“**

„ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იარაღი არის ხელისუფლების შიდა დაპირისპირების გამოყენება, პლუს ამას, ისინი გამოიყენებენ მე-5 კოლონას, რომელიც საბოტაჟის რეჟიმში იმუშავებს, მოგეხსენებათ, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ინარჩუნებენ პოზიციებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, ისინი ამ მექანიზმებს ისე აამუშავებენ, რომ წინა პლანზე „ნაციონალები“ არ გამოჩნდებიან, ხოლო შემდეგ შეეცდებიან, წინ ფარად ჩაუდგნენ“

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## პარლამენტის პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ნინო ბერაძე უხელმძღვანელებს

პარლამენტის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ნინო ბერაძე უხელმძღვანელებს. ის 2004-2011 წლებში „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობდა. ასევე, მუშაობდა ამერიკის ხმის ქართულ ბიუროში.

ეს თანამდებობა მას შემდეგ იყო ვაკანტური, რაც პარლამენტის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი ნიკო ნერგაძემ დატოვა. ის ჟურნალისტურ საქმიანობას დაუბრუნდა. (ინტერპრესნიუსი)

## არადეკლარირებული თანხის შემოტანისთვის ერთი პირი დააჯარიმეს



დეკლარირების წესის დარღვევის გამო, საქართველოს მოქალაქე დააჯარიმეს. შემოსავლების სამსახურის ცნობით, 7 სექტემბერს არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობა გამოვლინდა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“. უწყების ცნობით, რეისით სტამბული-თბილისი საქართველოს მოქალაქე ბ.ც. ჩამოფრინდა, რომლის ხელბარგშიც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა არადეკლარირებული თანხა 38 200 აშშ დოლარი აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, მგზავრს ჯარიმა – 3000 ლარი დაეკისრა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უკრაინაში კონფლიქტს 3 000 ადამიანი ემსხვერპლა“

გაერო-ს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ზეიად რაად ალ ჰუსეინის განცხადებით, უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 3 ათასი ადამიანი დაიღუპა. როგორც მან გაერო-ს ადამიანის უფლებების საბჭოს 27-ე სესიის გახსნაზე აღნიშნა, ვითარება უკრაინაში „კვლავ შემაშფოთებელია“.

„უკრაინის მთავრობამ, შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, ასევე მეზობელმა სახელმწიფოებმა, მათ შორის რუსეთის ფედერაციამაც მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ“. – განაცხადა გაეროს კომისარმა.

მისივე ინფორმაციით, უკრაინაში არსებულ ვითარებას გაერო-ს ადამიანის უფლებების საბჭო 23 სექტემბერს, შესაბამისი ანგარიშის გამოქვეყნების დროს განიხილავს. (ფრონტნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

წერია. სამწუხარო ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იარაღი არის ხელისუფლების შიდა დაპირისპირების გამოყენება, პლუს ამას, ისინი გამოიყენებენ მე-5 კოლონას, რომელიც საბოტაჟის რეჟიმში იმუშავებს. მოგეხსენებათ, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ინარჩუნებენ პოზიციებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, ისინი ამ მექანიზმებს ისე აამუშავებენ, რომ წინა პლანზე „ნაციონალები“ არ გამოჩნდებიან, ხოლო შემდეგ შეეცდებიან, წინ ფარად ჩაუდგნენ.

**— გადავინაცვლოთ ხელისუფლების შიდა დაპირისპირებაზე, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბებულა მთავრობა, ვინ უნდა წავიდეს გაეროს 69-ე სამიტზე — პრემიერი თუ პრეზიდენტი. უელსის სამიტიდან გაერომდე, როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?**

– რასაც ეს ხელისუფლება აკეთებს თანმიმდევრულად, ეს არის ის, რომ დასავლურ ორიენტაციას ფეხს არ უცვლის. არადა, დღევანდელ ხელისუფლებას „ნაცმოძრაობა“ ეძახის რუსეთუმეებს. მოდი, ახლა დავდოთ სასწორზე, რას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთთან და რას – დასავლეთთან. დღევანდელი ხელისუფლება დასავლეთთან დებს ხელშეკრულებებს, შედის აქტიურად ინტეგრაციულ პროცესში და მაქსიმალურად აგრძელებს იმ გზას, რომელიც ჰქონდა „ნაცმოძრაობას“ წინა ხელისუფლებაში. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რუსეთთან არის სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, და თავშეკავება რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ, ის, რასაც რუსეთი ახორციელებს არა მარტო უკრაინაში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში. დაკვირვებული ადამიანი მიხვდება, რომ დასავლეთთან ურთიერთობებ-ის გაღრმავება, რომელსაც რეალური დოკუმენტები უმაგრებს ზურგს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, მაგრამ მოდით, ახლა სხვა რამე-საც შევხედოთ... როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებიდან ვიღაც ძალიან აქტიურად თამაშობს კულუარებში რუსეთთან ურთიერთობის კუთხით. რადგანაც ვხედავ, რომ გარდა ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის ლაპარაკისა, პოლიტიკური დევნის თაობაზე საქართველოში გენერალური ხაზი მაინც გრძელდება და დასავლეთთან არის აქტიური ურთიერთობები, ამერიკის თავდაცვის მდივნის ჰეიგერის ნათქვამი, იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებულობა დასაფასებელია, ესეც გარკვეულწილად „ნაციონალების“ წისქვილზე არ ასხამს წყალს. როგორც ვხვდები, კულუარული პოლიტიკა იწარმოება რუსეთთან, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მხარი რომ დაუჭირა, ისე გაილანძღა და საქმე იქამდე მივიდა, რომ კრემლის მთავარი იდეოლოგი დუგინი გამოვიდა და თქვა, – აზერბაიჯანი აუცილებლად მიიღებს სამაგიეროს ამ საქციელის გამოო. მხოლოდ კითხვის ნიშნები დასვა ნაზარბაევმა ად ამის შემდეგ პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ ყაზახეთი საერთოდ არასოდეს ყოფილა სახელმწიფო, ამის შემდეგ კი ჟირინოვსკი აცხადებს, მალე ყაზახეთი დაიშლებაო. საკმარისი აღმოჩნდა ლუკაშენკოს წამოეწყო დამოუკიდებელი თამაში და საპასუხო დარტყმა მიეღო კრემლიდან. ამ დროს, საქართველო, რომელიც ნატოს ძალიან სერიოზულად მიუახლოვდა, ამის გამო კრემლისგან მძიმე მუშტი საქართველოს არ მოხვედრია. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ორივე მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, ვინ არ ვიცი, აწარმოებენ ისეთი ტიპის პოლიტიკას, რომელიც დღეს საქართველოსთვის არის პოლიტიკურად მიზანშეწონილი.

**— პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უელსის სამიტზე ღიად განაცხადა, რომ ის მზად არის მოსკოვში ჩავიდეს და შეხვდეს პუტინს. ფიქრობთ თუ არა, რომ მისი ეს განცხადება დასავლეთთან შეთანხმებული იყო?**

– სამწუხაროდ, მარგველაშვილი არის მარტოსული, ჩვენი უბედურება ის, რომ პრეზიდენტსა და დანარჩენ ხელისუფლებას შორის ასეთი ცუდი ურთიერთობაა, გითხარით კიდეც, რომ დიპლომატები მეკითხებიან, ესენი აქ რა „საბავშვო ბაღს“ აწყობენო... ბუნებრივია, მარგველაშვილის დონეზე ეს ამბავი ვერ მოგვარდებოდა, თუმცა ყველაფერი ხდება, მაგრამ ამაში ეჭვი მეპარება, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ მრჩება განცდა, ვიღაცა რუსეთთან ურთიერთობებს აგვარებს. ჩვენ ვდგავართ სერიოზული გამოწვევის წინაშე, ამ გამოწვევების გამოსავალი ძალიან რთული საპოვნელია. ნატოსთან დაკავშირებით მინდა გითხრათ ერთი რამ, ამ წლების განმავლობაში ისეთი გამოცდილება მივიღე, რომ ჩემთვის მისაღებია მხოლოდ ერთი დოკუმენტი, დასავლეთთან ურთიერთობის, დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განსაკუთრებული დაცვის პირობებს შეუქმნის. ის დოკუმენტი, რომელიც დღეს მიიღო ნატომ და ვერც მაპ-ი, ჩვენი ქვეყნის დაცვის პირობებს ვერ შეგვიქმნის. რუსეთის მხრიდან რომ ხიფათი აბსოლუტურად ნიველირებული იქნეს, საჭიროა ისეთი დოკუმენტი დასავლეთის მხრიდან, რაც გარანტირებულად დაგიცავს რუსული საფრთხისგან. ის, რაც უელსის სამიტიდან წამოვიღეთ, არის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს პატივისცემის დამადასტურებელია და მეტი არაფერი. საინტერესოა, ამ წინადადებათა პაკეტს რა მოჰყვება, თუ მართლა ნატოს ბაზის გახსნაზეა ლაპარაკი. თუ ლაპარაკია სამხედრო ნაბიჯებზე, რომელიც დადასტურებულად ვიცი, რომ უნდა გადაიდგას, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვი, მაშინ შეიძლება სიტუაცია იყოს უფრო სხვანაირი, მაგრამ არა გადამწყვეტი იმიტომ, რომ მე ვერ ვხედავ საქართველოს მაქსიმალური დაცვის საშუალებას. ის გუნდი რას ფუთ-ფუთებს შიგნით, მართალი გითხრა, აღარ მაინტერესებს. სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ იმდენი ქნა, რომ შიდა გარჩევები ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის საინტერესო აღარ არის. იმდენად ყელში ამოვიდა გაუთავებელი დავა – ვინ უნდა იყოს პირველი და ვინ – მეორე...

**— და მაინც, თქვენი აზრით, ვინ უნდა წავიდეს გაეროს 69-ე სესიაზე და თუკი ორივე, პრემიერი და პრეზიდენტი, დამოუკიდებელი დელეგაციებით წარდგებიან გაეროში, რა მოხდება?**

– ქვეყნის პირველი პირი უნდა წავიდეს გაეროში და დღეს ქვეყნის პირველი პირი არის პრემიერ-მინისტრი და თუ პერსონალურად დაპატიჟებულია მარგველაშვილი, მაშინ ისიც უნდა წავიდეს. საერთოდ ვთვლი, რომ ეს თემა არ უნდა იყოს სალაპარაკო.

**— ვიდრე ხელისუფლება ჩამოყალიბდება, ვინ პირველია და ვინ მეორე, რუსეთი იმუქრება მოლდოვის მიმართულებით და შეიძლება შემდეგი იყოს საქართველო. მან მოსკოვში მოამზადა და გადასხა ე.წ. მწვანე კაცუნები, რომელთა გამოჩენაც რეგიონში აუწყებს მსოფლიოს, რომ რუსეთი იმ ქვეყნის ასაოხრებლად ემზადება. გამორიცხული არ არის, „მწვანე კაცუნები“ მალე საქართველოში აღმოჩნდნენ.**

– „მწვანე კაცუნები“ დნესტრისპირეთში გამოჩნდნენ, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოლდოვას დროებით დაკარგული აქვს. რაც შეეხება საქართველოს, აქ ეს „მწვანე კაცუნები“ 2008 წლიდან ღიად არიან, ცხინვალში კი იმდენად გათავხედებულები არიან, ერთი სული აქვთ, თბილისი-გორის ტრასაზე როდის გამოვლენ. ასე რომ, რაც შეეხება ამ ეტაპზე რუსეთის მხრიდან ხიფათს, ჯერჯერობით საქართველოს მიმართულებით არ იკვეთება, როგორც გითხარით, იმედი მაქვს რაღაც ტიპის მოლაპარაკებები რუსეთთან მიმდინარეობს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„სამწუხაროდ, მარგველაშვილი არის მარტოსული, უბედურებაა ის, რომ პრეზიდენტსა და დანარჩენ ხელისუფლებას შორის ასეთი ცუდი ურთიერთობაა, გითხარით კიდეც, რომ დიპლომატები მეკითხებიან, ესენი აქ რა „საბავშვო ბაღს“ აწყობენო... ბუნებრივია, მარგველაშვილის დონეზე ეს ამბავი ვერ მოგვარდებოდა, თუმცა ყველაფერი ხდება, მაგრამ ამაში ეჭვი მეპარება, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ მრჩება განცდა, ვიღაცა რუსეთთან ურთიერთობებს აგვარებს“**

**„ის, რაც უელსის სამიტიდან წამოვიღეთ, არის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს პატივისცემის დამადასტურებელია და მეტი არაფერი. საინტერესოა, ამ წინადადებათა პაკეტს რა მოჰყვება, თუ მართლა ნატოს ბაზის გახსნაზეა ლაპარაკი. თუ ლაპარაკია სამხედრო ნაბიჯებზე, რომელიც დადასტურებულად ვიცი, რომ უნდა გადაიდგას, მაშინ შეიძლება სიტუაცია იყოს უფრო სხვანაირი, მაგრამ არა გადამწყვეტი, იმიტომ, რომ მე ვერ ვხედავ საქართველოს მაქსიმალური დაცვის საშუალებას“**

**„„ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, აქედან გამომდინარე ისინი ემზადებიან რევანშისთვის, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს ამ საკითხს ისტერიკით, გინებითა და აღელვებით რომ შევხედოთ არ ღირს, ვფიქრობ, ცივი გონებით უნდა გავაანალიზოთ ის, რასაც „ნაციონალები“ გეგმავენ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს იმის ფინანსური რესურსიც, რომ რევანში აიღონ“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ფრაქცია „ქართული ოცნება“ არჩილ ხაბაძეს უნდობლობას უცხადებს



ფრაქციის წევრებმა ამ და საკითხთან დაკავშირებით დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს. უმაღლესი საბჭოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ჩიტიშვილმა განაცხადა, რომ აჭარის მთავრობის წინააღმდეგ მთავარ არგუმენტებს, მათ შორის კორუფციაში გარიგებების, ქონების მართვის საკითხებში დარღვევებსა და კონსტიტუციის უგულებელყოფის შესახებ 9 სექტემბერს წარმოადგენს.

„ფრაქციის წევრებთან დავდე ის არგუმენტები, რაზეც ვთვლიდი, რომ იყო საფუძველი, დაგვეწყო მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადება. იყო კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყველა არგუმენტის მოსმენის შემდეგ ფრაქციის შვიდივე წევრი დასთანხმდა, რომ საჭიროა ამ პროცედურის დაწყება. ჩემი თხოვნა იყო, რომ დღესვე არ დაგვეწყო ხელმოწერების მოგროვება, რადგან მე მინდა, ჩემი არგუმენტები გამოვიტანო სამსჯავროზე, როგორც კოალიციის წევრებთან და სხვა დეპუტატებთან, ასევე საზოგადოების სამსჯავროზე. მინდა საზოგადოებამ თქვას, რომ პროცესი არის დასაწყები“, – აღნიშნა ჩიტიშვილმა.

მისივე განმარტებით, აჭარის ხელისუფლებას მისი თანამოაზრეები გაემიჯნებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს ოპოზიციაში გადასვლას.

„ჩემთვის მთავარია, გადადგეს აჭარის მთავრობა, ეს მოხდება იმპიჩმენტის, თუ საზოგადოებრივი ზეწოლის საფუძველზე, სულ ერთია. მთავარია, მთავრობა მიხვდეს, რომ არ იქცევა სწორად, გადადგეს და მოვიდეს სხვა მთავრობა. პოლიტიკური განცხადებები ნიშნავს იმას, რომ ჩვენ პოლიტიკურად გავემიჯნებით ამ მთავრობას, ამ ხელისუფლებას აჭარაში. არ ვაპირებ ოპოზიციაში გადასვლას, „ქართული ოცნება“ არის პარტია, რომლის თანადამფუძნებლები ვართ, ბევრი უძილო ღამე გავათენეთ და ბევრი წვალება გამოვიარეთ, რომ მოსულიყო „ქართული ოცნება“, ვებრძოლეთ რეჟიმს და არ ვფიქრობ, რომ ოპოზიციაში გადასვლა ჩვენთვის მისაღები იქნება“, – აღნიშნა ჩიტიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის განცხადებით, აჭარის ორგანიზაციამ ეს განცხადება მათთან შეუთანხმებლად, თვითნებურად გააკეთა, რაზეც 9 სექტემბერს პოლიტსაბჭო იმსჯელებს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ფოთში დევნილებმა საპროტესტო აქციები განაახლეს



ფოთში დევნილებმა საპროტესტო აქციები განაახლეს. ისინი მალთაყვის უბანში საცხოვრებელი ბინების მოთხოვნით რამდენიმე დღის წინ პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა დალი აბურჯანიამ თავის დაწვაც კი სცადა. როგორც აბურჯანია აცხადებს, მას დახმარებას ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელია დაჰპირდა, თუმცა უშედეგოდ. დევნილი ამბობს, რომ თავს მოტყუებულად გრძნობს.

მასთან ერთად ბინის მიღებას 15-მდე დევნილი ოჯახი ელოდება. ოფიციალური კომენტარი გაკეთდა ფოთის მაჟორიტარის ბიუროში. ბიუროს უფროსი ამბობს, რომ მათ დევნილთა სამინისტროსგან წერილობითი შეტყობინება მიიღეს, სადაც განმარტებულია, რომ არასაკმარისი ქულების გამო იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ბინები ვერ მიიღეს. დევნილები ამბობენ, რომ აქციებს არ შეწყვეტენ და ბრძოლას გააგრძელებენ. (ინტერპრესნიუსი)



# გამოძიებამ კიწმარიშვილის გარაჟში კიდევ ერთი სამხილი აღმოაჩინა

ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმე ძალიან ნელა მიიწევს წინ. პრინციპში, წინ მიიწევს თუ არა, ესეც გასარკვევია, რადგან გამოძიება ამ ეტაპზე დუმს და არაფერს არ აცხადებს. თუმცა, გამოძიების პროცესში რამდენიმე ახალი, საგულისხმო დეტალი გამოჩნდა. ამის შესახებ „ალია“ გარდაცვლილის ძმას, ზურაბ კიწმარიშვილს ესაუბრა:

**— ზურა, ეროსის საქმეში ჩართული ექსპერტი ბალისტიკოსი, ზაზა ალთუნაშვილი აცხადებს, რომ, როცა „თვალით უხილავი“ ექსპერტიზა ჩაავატარეთ იმ გარაჟში, სადაც ავტომანქანაში ეროსი კიწმარიშვილი იპოვეს გარდაცვლილი, იქვე, ეროსის მანქანასთან რაღაც ნაჭერი ვიპოვეთო. თავის დროზე, ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ამ ნაჭრის შესახებ განაცხადა, ამ დეტალმა ჩემთვის კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმე კიდევ უფრო ჩახლართა და ბევრი კითხვის ნიშანი გამიჩინაო. თუ ასეთი მნიშვნელოვანი დეტალი მანქანასთან ასე ახლოს ეგდო, გამოძიებას ეს როგორ გამორჩა?**

– არ ვიცი, ძალიან მიჭირს, შევაფასო... თუმცა, აქ ერთი მომენტი უნდა აღვნიშნო. ხომ გახსოვთ, გარაჟში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერა გვერდზე იყო გაწეული, სადაც ეროსის მანქანა იდგა, კამერაში ის ნაწილი არ ჩანდა. ეს მე შევამჩნიე, ჩემამდე ვერავინ, ვერც იქ მყოფმა გამომძიებლებმა და კრიმინალისტებმა ვერ შეამჩნიეს ეს. ამას იმით ვხსნი, რომ კრიმინალისტები მანქანასთან იყვნენ კონცენტრირებულნი, მე ისეთ ადგილას ვიდექი, რომ დავინახე ეს კამერა. ამის მერე შეამოწმეს კამერა გამომძიებლებმა. ჩემი აზრით, მერე აპირებდნენ გარაჟის სრულყოფილად დათვალიერებას, რაც მანქანის გამოკვლევას მორჩებოდნენ.

**— ნაჭერზე რას იტყვით, რამდენ მეტრში ეგდო ეგ ნაჭერი მანქანასთან?**

– ზუსტად არ მახსოვს, არაუმეტეს 10 მეტრის რადიუსში, უფრო შორს ნამდვილად არ ყოფილა. პირველად რომ გამოძიებამ დაათვალიერა გარაჟი, ეროსის მანქანის სიახლოვეს სხვისი მანქანა იდგა. აი, მეორე დათვალიერებისას აღარ იდგა ის მანქანა და ვფიქრობ, ამანაც ხელი შეუწყო იმ ნაჭრის აღმოჩენას.

**— იქ ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით ჩატარდა 3 ექსპერტიზა, რომლის ჩატარების ვალდებულება გამოძიებას კანონით ეკისრება. აქ ნაჭერი, რომელიც მანამდე ვერ შეამჩნიეს, კიდევ თქვენ მიერ აღმოჩენილი შეტრიალებული სათვალთვალო კამერა და ესეც ვერ დაინახა ვერავინ. აი, ეს ფაქტები აჩენს საფუძვლიან ეჭვებს, რომ გამოძიება, ცოტა არ იყოს, ზერელედ და არაკვალიფიციურად მიმდინარეობს.**

– კი, გამოძიებამ იმაზე მეტი უნდა წარმოიდგინოს, გააანალიზოს, რაც შეიძლება მე და ჩემმა მეგობრებმა შეიძლება წარმოვიდგინოთ. იქ ნაპოვნ ნაჭერს მინდა დავუბრუნდე. მე ვიცოდი, რომ არსებობდა სითხე, რომლის გამოყენების შედეგად, თვალით უხილავი კვალის აღმოჩენა შეიძლებოდა. ეს მე წიგნებიდან ვიცოდი. როცა ეს საკითხი დავსვით, გამოძიებას მართლა არ ჰქონდა ამ სითხით და შესაბამისი ტექნიკით ამგვარი ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკა, ეს აღიარეს. ეს ტექნოლოგია ჩვენს საგამოძიებო პრაქტიკაში აქამდე არ არსებობდა.

**— ზურა, ისევ გამომძიებელთა არაკვალიფიციურობამდე მივდივართ და ასე მგონია, თავადაც ასე ფიქრობთ და არ გინდათ ამის აღიარება, რადგან გგონიათ, რომ ამით, შესაძლოა, საქმის გამოძიებას რაღაც ზიანი მიადგეს.**

– როცა მე ეს საკითხი დავსვი, თავიდანვე შემხვდნენ ეჭვით, რადგან, ალბათ, წინასწარ იცოდნენ, რომ მარტო სითხის არქონაში არ იყო პრობლემა, ამ ექსპერტიზას სპეცტექნიკა სჭირდებოდა და ეს ტექნიკა არ ჰქონდათ არსენალში. თუმცაღა, ფიქრობდნენ ალტერნატიული საშუალებების მოძიებაზე, გულხელდაკრეფილნი ნამდვილად არ მსხდარან, ფიქრობდნენ, რაღაც მოემოქმედათ, რომ მეტი სამხილი ეპოვათ. სკეპტიკურად კიდევ იმიტომ შეხვდნენ ჩემს იდეას, რომ არ ვიცოდით, ხსნარი რამდენად ეფექტური იქნებოდა.

**— მაგრამ თქვენმა დილეტანტურმა, თუმცა დროულმა გადაწყვეტილებამ, გამოძიებას ახალი და მნიშვნელოვანი დეტალი აპოვნინა — ნაჭერი მანქანის სიახლოვეს, რომელიც, სავარაუდოდ, ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.**

– კი, ეს ასეა და საბედნიეროდ, ის ნაჭერი სწორედ ამ ახალი ექსპერტიზის შედეგად, ამ ხსნარისა და ახალი ტექნიკის დახმარებით აღმოვაჩინეთ.

**— ამ სპეციალური ხსნარით 3-4 კვ.მ ტერიტორია დაამუშავეს. რატომ არ იკვლევენ მთელ გარაჟს? რა გარანტიაა, რომ კიდევ რამდენიმე სამხილს არ აღმოაჩენენ, რომელიც საქმესაც კი გახსნის?**

– მეც ეგ მინდა, მაგრამ ამისთვის საჭიროა რამდენიმე ტონა. ეს არის სპეციფიკური ხსნარი. ამ შემთხვევაში მისმა გამოყენებამ გაამართლა, მაგრამ ძლიერი ხსნარია, თუ ყველგან მოასხი, ერთგან მისი მეშვეობით შეიძლება რაღაც კვალი აღმოაჩინო, მეორე შემთხვევაში, მან შეიძლება სხვა, დანარჩენი ყველანაირი კვალი გაანადგუროს, ან ისეთი გახადოს, მისი იდენტიფიცირება ვერ მოხდეს. ცოტა საფრთხილოა ეგ საქმე. მე ამ შემთხვევაში ვარ გამოძიების თანამოაზრე, რაღაც გვინდა ვიპოვოთ.

**— თურქეთის საელჩოსა და იარაღის მაღაზია „დიანას“ კამერების ჩანაწერებია ამოღებულიო. თურქეთის საელჩოს კამერა გარაჟში ჩასასვლელს აფიქსირებდა. ამ ჩანაწერში დაფიქსირებულია ვინმე ისეთი, ვინც 15 ივლისს, როდესაც ეროსი გარდაიცვალა, ლოგიკურად, გარაჟში არ უნდა ჩასულიყო? უცხო პირს ვგულისხმობ.**

– თურქეთის საელჩოს კამერის ჩანაწერები არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ მაღალი ხარისხის ჩანაწერი არ არის და მასზე დაფიქსირებულ პიროვნებათა ინდენტიფიკაცია თავიდან უჭირდა გამოძიებას. ეს ჩანაწერი ბევრ ინფორმაციას ვერ მისცემდა გამოძიებას, ასე ვიცი, ასე იყო თავიდან და მერე რა მოხდა, ეს არ ვიცი. გარდა ამისა, თურქეთის საელჩოს კამერა გარაჟში ჩასასვლელის კონკრეტულ კუთხეს აფიქსირებს და მკვლელი ამ ჩასასვლელით ან არ ისარგებლებდა, ანდა, თავს აარიდებდა იმ ადგილს, რომელსაც კამერა უყურებდა. გარაჟში კიდევ 3 ჩასასვლელია სადარბაზოებიდან და ჩემი აზრით, რადგან ეს მკვლელობა მაღალკვალიფიციურადაა შესრულებული, კარგად დაგეგმილია, შესაბამისად, ყველაფერს წინასწარ შეისწავლიდნენ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მკვლელი იმ ჩასასვლელით არ ისარგებლებდა, რომელსაც კამერა აფიქსირებს. ამ ჩასასვლელებსაც კამერები უყურებს, მაგრამ ისინი მოძრავი არ არის, კონკრეტულ პერიმეტრს აფიქსირებენ და მკვლელს შეეძლო გარაჟში ისე ჩასვლა, რომ კამერას არ დაეფიქსირებინა.

რაც შეეხება იარაღის მაღაზიის ჩანაწერს, იქ, მგონი, ახალი არაფერია აღმოჩენილი. 14 ივლისს, ეროსი ბადრი ნანეტაშვილთან ერთად შედის „დიანაში“, აფორმებს საბუთებს, 15 ივლისს კი მარტო მიდის მაღაზიაში და ყიდულობს იარაღს. აი, სულ ეს არის „დიანას“ კამერის ჩანაწერზე, რამდენადაც მე ვიცი. გამოძიებას აინტერესებდა, ვინმე ხომ არ შეჰყვა ეროსის მაღაზიაში, საეჭვო პიროვნება ხომ არ დააფიქსირა კამერამ. რამდენადაც ვიცი, „დიანას“ კამერის ჩანაწერმა ახალი და საგულისხმო არაფერი მისცა გამოძიებას.

**— თქვენ ვარაუდობთ, რომ ეს დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული მკვლელობა იყო და ვინც ეს გააკეთა, მან ყველაფერი მოიმოქმედა საიმისოდ, რომ თვითმკვლელობის ეჭვი გაჩენილიყო. მგონი, მკვლელმა მიზანს მიაღწია კიდეც — გამოძიება თვითმკვლელობის მუხლითაა ისევ აღძრული და მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.**

– კი, საქმე თვითმკვლელობის მუხლითაა აღძრული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამოძიება მკვლელობის ვერსიაზე არ მუშაობს. ერთ დღესაც, შესაძლოა, გამოაცხადოს გამოძიებამ, რომ ამა და ამ მტკიცებულებების საფუძველზე ეს იყო მკვლელობაო და საქმეც გახსნილად გამოაცხადოს. თუმცა, ვიტყვი, რომ, რაც უფრო მალე გადაკვალიფიცირდება თვითმკვლელობის მუხლი და აღიძვრება მკვლელობის მუხლით საქმე, უმჯობესია. ბოლოს და ბოლოს, გამოძიება ამით აღიარებს, რომ არსებობს მკვლელი, რომელსაც ოფიციალურად უნდა დაუწყოს ძებნა და მთელი ძალისხმევა აქეთ იქნება მიმართული.

**— მანქანის ჩაწეული ფანჯრები ხომ იმაზე მიუთითებს, რომ მკვლელმა სუნის გაფანტვაზე წინასწარ იზრუნა?**

– სავარაუდოდ, ასეა.

**— თუმცა, მკვლელის სუნის აღმოჩენა მაინც შეიძლებოდა, თუ კრიმინალისტებმა ძაღლები ამუშავეს. ტყეში პოულობენ სუნს და ფანჯრების ჩაწევა, სუნს მთლიანად ვერ გააქრობდა მანქანაში.**

– კი, იქ იყო ერთი ძაღლი, მაგრამ ამასაც ბევრი არაფერი შედეგი მოჰყოლია. ლოგიკურად კი მკვლელის სუნი უნდა ყოფილიყო მანქანაში და ის უნდა აღმოეჩინათ, მაგრამ პოლიცია მოვიდა თუ არა შემთხვევის ადგილას, დავინახე, რომ დაახლოებით შვიდი კაცი ტრიალებდა მანქანასთან, შიგნითაც შეიხედეს, ცხადია, მანქანაში მათი სუნიც გაჩნდა. შესაძლოა, ამან გაუძნელა ძაღლს სუნის აღმოჩენა. სამწუხაროდ, თავდაპირველად, მოკვლევა არ მოხდა ხელშეუხებელ გარემოში და სუნიც იმიტომ ვერ აიღეს ძაღლებმა.

»» ლევან ჯავახიშვილი

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინის ნაპირებთან შავ ზღვაში 7 რუსული სადესანტო ხომალდია



უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ცნობით, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გადაჯგუფებები შეინიშნება. ყირიმში სამხედრო ნაწილები ჩრდილოეთისკენ გადაადგილდებიან, დონბასში ხდება მრავალრიცხოვანი სამხედრო დაჯგუფებების ფორმირება, რომელშიც შედის 64 ტანკი, ასამდე БТР და БМП, ათეულობით „Град“ და „Ураган“, ხოლო შავ ზღვაში მოძრაობს 7 დიდი სადესანტო ხომალდი.

უშიშროების საბჭოს სპიკერი ანდრეი ლისენკო ასევე აცხადებს, რომ მარიუპოლსა და კიდევ რამდენიმე ფრონტისპირა რეგიონში რუსეთის არმიის ნაწილები და ტერორისტები საფორტიფიკაციო სამუშაოებს აწარმოებენ. ხდება სამხედრო საველე ჰოსპიტალების ფორმირება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## როგორ დავიცვათ თავი პოლიციური რეიდების დროს




პოლიციის ე.წ. რეიდებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციები განმარტებას აკეთებენ. „ახალგაზრდა იურისტების“ განმარტებით, ე.წ. რეიდებს არეგულირებს კანონი, რომელიც ასევე განსაზღვრავს, რის უფლება აქვს სამართალდამცავს. აღნიშნული კანონის მიხედვით პოლიციელს უფლება აქვს: გამოკითხოს პირი, განახორციელოს მისი ზედაპირული შემოწმება, თუმცა ამ დროს არ უნდა იქნას დარღვეული ადამიანის უფლებები და დაუშვებელია ცემა და არაადამიანური მოპყრობა.

„მათ აქვთ უფლება, გააჩერონ ადამიანი, შეამოწმონ, ზედაპირული გასინჯვა ჩაატარონ, გამოკითხონ. შეამოწმონ მისი სატრანსპორტო საშუალება, თუკი არსებობს ამის ეჭვი. გარდა ამისა, მათ აქვთ უფლება, განახორციელონ მისი ადმინისტრაციული გასინჯვა, ასევე ადმინისტრაციული დაკავება, თუკი ამის საფუძველი არსებობს. არ უნდა დაირღვეს პირის თავისუფალი გადაადგილების უფლება, არ უნდა მოხდეს მისი შეურაცხყოფა პოლიციის მხრიდან, არ უნდა მოხდეს არაადეკვატური ზომების გამოყენება. ეს ყველაფერი თანხვედრაში უნდა იყოს მათ უფლება-მოვალეობასთან“, – აცხადებს „საიას“ იურისტი მაია ხუციშვილი. (ნიუპოსტი)



# რას ეუბნება ექსპერტი კახა კახიშვილი „ალიას“ მარგველაშვილის პარტიაში გაწევრიანებაზე?

„კვირის ქრონიკაში“ გიგი უგულავას კეზერაშვილისადმი გაგზავნილი წერილი დაიბეჭდა, რომელშიც უგულავა იმ გეგმებზე საუბრობს, რომელიც „ნაციონალებს“ 2016 წლის არჩევნებამდე აქვთ შესასრულებელი. საუბარია პერმანენტულ საპროტესტო აქციებზე, აპოკალიფსური სურათისა და ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნაზე, რომლის უკანაც „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება. საუბარია მარგველაშვილის მიერ პარტიის შექმნაზეც, სადაც, უგულავას თქმით, კახა კახიშვილი, ალეკო ელისაშვილი და სხვა, ასე ვთქვათ, „ნეიტრალური ფიგურები გაწევრიანდებიან.

**„ალიას“ ესაუბრება საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი:**

– დავიწყებ იმით, რომ ჯერ დასადგენია, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა გიგი უგულავას ეს წერილი. მას არ გაუკეთებია განცხადება ამასთან დაკავშირებით, რაც ბადებს ეჭვს, რომ წერილი ნამდვილად ავთენტურია. რაც შეეხება ამ წერილში მოყვანილ სამომავლო პროგნოზებს, ეს ჩვეულებრივი ანალიტიკაა, რომელიც დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას უკავშირდება, თვითონ „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან კარგად ხვდება, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვა მარტო, იმასაც კარგად ხვდება, რომ ეს არის გრძელვადიანი პერსპექტივა, ამიტომაც ეს არის მხოლოდ ვარაუდი, როგორ შეიძლება შეიცვალოს კრიტიკული სიტუაცია 2016 წლისთვის. ამიტომ ის მონაკვეთი, რაც გიგი უგულავას წერილშია მოყვანილი, სავარაუდოდ, პოლიტიკური პარტიის გამოჩენასთან დაკავშირებით მარგველაშვილთან ასოცირებაში, ეს უფრო დღევანდელი რეალური მდგომარეობიდან გაკეთებული ლოგიკური დასკვნაა.

**— თქვენც ხართ ნახსენები მარგველაშვილის კონტექსტში...**

– არანაირი კონსულტაციები ასეთი ტიპის გაერთიანების შექმნაზე, ჩემთან არ ყოფილა, მე ძალიან კარგ ურთიერთობაში ვარ პრეზიდენტ მარგველაშვილთან, მეგობრულ ურთიერთობაში ვარ ბატონ ალექსანდრე ელისაშვილთან, მაგრამ არანაირი საუბარი ასეთი ტიპის კონფიგურაციაზე, ნამდვილად არ ყოფილა. პოლიტიკაში ისედაც ჩართული ვარ, მაგრამ გავხდები თუ არა პოლიტიკოსი, ეს ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, არ მაქვს ნამსჯელი.

**— უგულავას წერილში საუბარი იყო აპოკალიფსური სურათის შექმნაზე. მოახერხებს „ნაცმოძრაობა“ ამას, როცა მათი მხარდამჭერთა რაოდენობა არჩევნებიდან არჩევნებამდე კლებულობს?**

– უგულავას ამ წერილში ახალი არაფერი დაუწერია, ჩვენ ამაზე გვისაუბრია. „ნაციონალური მოძრაობა“ რომ საბოტაჟს, ყოველდღიურ პრესინგებს და პროვოკაციებს გეგმავდა და ახლაც გეგმავს, ამაზე არც მე და არც სხვა ექსპერტებს არაერთგზის გვისაუბრია. ამ გეგმის შესრულება უკვე დაწყებული აქვთ, ისინი ხატავენ ისეთ სურათს, თითქოს ქვეყანა ინგრევა. იქ ხალხის აყოლიებაზეა საუბარი, გიგი უგულავა პირდაპირ საუბრობს, რომ ამ პროვოკაციას უნდა წამოეგონ ადამიანები. უგულავას წერილშიც ჩანს, რომ „ნაცმოძრაობას“ კარგად ესმის, საზოგადოების მაღალი ნდობით ველარ სარგებლობენ, ამიტომაცაა საუბარი მცირემასშტაბიან აქციებზე, მხოლოდ მათი აქტივისტების მონაწილეობით, მინიშნებაა ასევე, რომ ნაკლები აქცენტი გაკეთდეს ხელისუფლების მხრიდან „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა სამართლებრივ დევნაზე, ვინაიდან თვითონაც ხვდებიან, რომ ეს მომენტი საზოგადოებას არ ამწუხრებს, გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს, რომ წინა პლანზე წამოსწიოს ის ადამიანები, ვინც მათ მხარს უჭერენ იდეოლოგიურად და არ არიან საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები. აუცილებლად იქნება საპროტესტო აქციები ასეთი ადამიანების მონაწილეობით, მაგრამ ფული, რომელიც მსგავსი აქციების ორგანიზებისთვის იქნება საჭირო, წამოვა მათი ოფისიდან. ისინი აპირებენ, რომ გაჭირვებული ადამიანების ნდობა მოიპოვონ და ერთიერთში იმეორებენ იმას, რასაც 2003 წლამდე აკეთებდნენ. დღეს ქართული საზოგადოება არის ძალიან ფრთხილი და უკვირდება ყველა ნაბიჯს, რომ არ მიიღოს იმ აქციაში მონაწილეობა, რომლის ორგანიზატორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, ამიტომაც ისინი ახლა ფიქრობენ არა თავიანთი ხელით განხორციელებულ პრესინგზე, არამედ მესამე ძალის შექმნაზე, რომელსაც თავიანთ თამაშში ჩაითრევენ, თვითონ არ გამოჩნდებიან, თუმცა საბოლოოდ მათი საქმე გაკეთდება.

**— თქვენც არაერთხელ გითქვამთ და უგულავას წერილმაც დაადასტურა, რომ „ნაციონალების“ ერთადერთი ოცნება ხელისუფლების შეცვლაა, თუნდაც თვითონ არ მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამ ფონზე, პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრის აპარატებს შორის ასეთი დაპირისპირება ხომ „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს წყალს?**

– რა თქმა უნდა, „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს წყალს, ხალხისთვის გამაღიზიანებელია ისეთ არამნიშვნელოვან საკითხებზე პოლემიკა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, როგორიცაა ვინ წავა რაიმე სახის საერთაშორისო ღონისძიებაზე. „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება, ასეთი სახის დაპირისპირება ფარული თუ ღია მეთოდებით წაახალისოს თვითონ კოალიციაშიც, რომ იქნებ უბიძგოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, ან რომელიმე ლიდერს კოალიციიდან გამოსვლაზე. ახლა ყველანაირად ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“, რომ ირაკლი ალასანიამ დატოვოს თანამდებობა. შემდეგ სხვა ძალის მიმართ იქნება მუშაობა, მთავარი მიზანი კი იქნება იმ აზრის ფორმირება, რომ „ოცნება“ იშლება, უუნაროა და ვერაფერს აკეთებს, ისინი შეეცდებიან, რომ მასობრივად უკმაყოფილება გააჩინონ საზოგადოებაში, თუნდაც რეიდებთან მიმართებაში რასაც აკეთებენ. ასეთი ტიპის რეიდები ტარდება მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში, მაგრამ რაც შეიძლება მეტი ნეგატივი უნდა გამოიტანონ ყოველდღიურად სააშკარაოზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამ ნეგატივს ობიექტური საფუძველი.

**— ადრე ვისაუბრეთ, რომ „ნაცმოძრაობა“ შეეცდება აქციებზე პროვოკაციების მოწყობას. არსებული ვითარების ფონზე სამართალდამცავები შეძლებენ მარტივად ამის თავიდან აცილებას?**

– ეს დამოკიდებულია თავად სამართალდამცავებზე, ხელისუფლებას აქვს უნარი, არა მხოლოდ პროვოკაციებს გასცეს პასუხი, არამედ საერთოდ არ მიიყვანოს აქამდე მდგომარეობა, როგორც ჩემთვის, თქვენთვის და მკითხველისთვის არის ცნობილი „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმები, ისეა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის.

**— იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნება“ ორი წელია ხელისუფლებაშია და ყველანაირი ბერკეტი აქვს, საინფორმაციო ომს მაინც „ნაციონალური მოძრაობა“ უგებს. ამას რით ახსნით?**

– თავიდანვე შეცდომა იყო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაერქვა მთავარი ოპოზიციური ძალა, გიგი უგულავა საუბრობს წერილში და ცალსახად კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ, ფაქტობრივად, წარმატებულად გადაარჩინეს პარტია და გახადეს მთავარი ოპოზიციური პარტია. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა ხელისუფლებისა, გარდა ამისა, ხელისუფლებამ არ შეცვალა საარჩევნო კანონმდებლობა და ამით ხელი შეუწყო „ნაციონალური მოძრაობის“ არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ გახადა მთავარი ოპოზიციური პარტია. ახლა კი სამაგიეროდ რას იღებენ? მთელი პარტია გაერთიანებული ძალით ცდილობს კოალიციაში განხეთქილების შეტანას. გგონიათ ალასანიას, ან მარგველაშვილის პერსონალური გაძლიერება, ან თუნდაც მათი მხრიდან პოლიტიკური ცენტრის შექმნა და მაღალი რეიტინგი გაახარებს „ნაციონალურ მოძრაობას“? არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ, მათი მთავარი ამოსავალი წერტილია, დღეს შეიქმნას პრობლემები, რაც მეტი პრობლემა შეიქმნება, მით მეტად კმაყოფილი იქნება „ნაციონალური მოძრაობა“. მათ აქვთ ერთადერთი მიზანი, რამენაირად, რაიმე ფორმით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. დამერწმუნეთ, ისინი არაფერზე არ იტყვიან უარს და მზად იქნებიან არეულობისთვის. დღეს თუ არ აწყობენ მასშტაბურ აქციებს, იმიტომ არა, რომ ამის სურვილი არ აქვთ ან ვინმეზე ფიქრობენ, უბრალოდ იციან, რომ დღეს მათ არანაირი მხარდაჭერა არა აქვთ საიმისო, რომ მასშტაბური პოლიტიკური არეულობა გამოიწვიონ. ამიტომ პირველ ეტაპზე მათი მთავარი მიზანია, რამენაირად დაშალონ კოალიცია, დაშლილი კოალიციიდან მიიზიდონ რაღაცა ტიპის პოლიტიკური ძალები იმ ცენტრში, რომელსაც ქმნიან, რომ შემდგომში ამ პოლიტიკური სახეების გამოყენებით დაიწყონ პერმანენტული, გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქციები, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიზარდოს შეტაკებაში. ამას არც მალავს „ნაციონალური მოძრაობა“ ისინი ღიად განიხილავენ საქართველოში უკრაინის მსგავს სცენარს. გამოუვა თუ არა ეს „ნაციონალურ მოძრაობას“, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ „ქართულ ოცნებაზე“...

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატო-ს ქვეყნები უკრაინაში იარაღის გაგზავნას უარყოფენ



აშშ, იტალია და საფრანგეთი უკრაინაში იარაღის გაგზავნას უარყოფენ. აღნიშნული ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა იური ლუცენკომ „FACEBOOK“-ში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

„ნატო-ს სამიტზე მივაღწიეთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ აშშ, საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი და ნორვეგია თანამედროვე შეიარაღებას მოგვაწვდიან“. – ნათქვამია განცხადებაში.

მოგვიანებით სააგენტო „Reuters“-მა თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმად, „აშშ-ს უკრაინისთვის ლეტალური იარაღის გადაცემის საკითხი არ გადაუწყვეტია“.

ლუცენკოს მიერ გავრცელებული განცხადება უარყვეს რომშიც. საინფორმაციო სააგენტო „ANSA“ იტალიის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, რომ რომი კიევს მხოლოდ არალეტალურ სამხედრო აღჭურვილობასა და ეკიპირებას, კერძოდ ჯავშანჟილეტებსა და ჩაფხუტებს გადასცემს.

ელისეის სასახლის პრესსამსახურმა კი განაცხადა, რომ „ამ ინფორმაციას არაოფიციალური წყაროები ავრცელებენ, ამიტომ ოფიციალური პარიზი ამის შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს“. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უშიშროებას შსს-სგან კონსტიტუციით გამოყოფენ?



მზადდება საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროებასთან ან სამხედრო ძალებთან რაიმე გაერთიანებას, ან სხვაგვარად შერწყმას აკრძალავს.

კონსტიტუციონალისტ ჯონი ხეცურიანის განცხადებით:

„არსებობდა ნორმა, რომელიც კრძალავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ან სამხედრო ძალების რაიმე გაერთიანებას, ან სხვაგვარად შერწყმას. როდესაც კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანეს, ეს ნორმა გააუქმეს. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა უშიშროების, შინაგან საქმეთა და სხვა სტრუქტურების ერთ უწყებაში გაერთიანება. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მაგრამ არ შეიძლება ასეთი მონსტრის შექმნა სახელმწიფოში, რომელსაც ყველანაირი ბერკეტები აქვს. რაც შეეხება შემდეგ ცვლილებებს, რომელსაც კონსტიტუციაში ვამზადებთ, დარწმუნებული ვარ, აღდგენილი იქნება ნორმა, რომელიც ასეთ გაერთიანებას აკრძალავს“, – განაცხადა ხეცურიანმა. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ალია



# რამდენი იქნება ჯარიმა მანქანიდან ნაგვის გადაგდებაზე, საოჯახო ნაგვის ქუჩაში დაყრაზე, ძაღლის გასეირნებისას ქუჩის ფეკალური მასებით დაბინძურებაზე

„ნარჩენების მართვის შესახებ კოდექსში“ ცვლილებები შედის, რაც გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმების გამკაცრებას ითვალისწინებს.

რატომ გახდა კანონში ცვლილებების შეტანა აუცილებელი? კონკრეტულად რა სახის ცვლილებები შევა კანონში და რამდენით დაჯარიმდება დამნაშავე პირი ან ორგანიზაცია? რა სასჯელი ელით პირებს, რომლებიც მანქანიდან ნაგავს გადაყრიან, ან საცხოვრებელი კორპუსიდან გამოიტანენ ნაგავს და ქუჩაში მიატოვებენ? რით დაისჯება ცხოველის მეპატრონე, რომელიც ქალაქში გაასეირნებს თავის ცხოველს და ფეკალური მასით დააბინძურებს გარემოს?

**„ალიას“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, მაია ბითაძე ესაუბრა:**

– საუბარია, არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებზე, არამედ ახალ სამართლებრივ აქტზე, რომლის მსგავსი აქტიც, საქართველოს არც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და არც მას შემდეგ არ ჰქონია.

**— რას მოიცავს კანონპროექტი კონკრეტულად?**

– მოიცავს დებულებებს, რომელიც ეხება, ზოგადად, ნარჩენების მართვის საკითხებს, მათ ინსტიტუციურ გადანაწილებას, ნაგავსაყრელების კატეგორიზაციას, ნაგავსაყრელების მოწყობის საკითხებს. კოდექსის ბოლო ნაწილი ადმინისტრაციულ სანქციებს ეხება.

**— სანქციებთან დაკავშირებით რა სიახლეა ჩადებული, რა იცვლება?**

– დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ძალიან მწირი სანქციები მოქმედებს. ჯარიმის ოდენობებიც არაადეკვატურია ჩადენილი ქმედებებისთვის. ანუ ერთ ქვაბშია მოხარშული გარემოს დაბინძურება და დანაგვიანება.

**— რა განსხვავებაა გარემოს დაბინძურებასა და დანაგვიანებას შორის?**

– გარემოს დანაგვიანება შესაძლოა იყოს ქაღალდის გადაგდება, მაგრამ გარემოს დაბინძურებად ითვლება მავნე ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურება, რასაც ბევრად უფრო მძიმე შედეგი მოაქვს გარემოსთვის.

ახალი კანონით, ეს ორი რამ, ანუ ნაგავი და გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებები, ერთმანეთისგანაა გამიჯნული. თითოეული სახეობის დანაგვიანებისთვის, ან დაბინძურებისთვის სხვადასხვა სახის სანქცია და ადეკვატური ჯარიმაა დადგენილი. ანუ განსხვავებული მიდგომა ამოქმედდება – მაგალითად, გარემოში აკუმულატორის სითხის, ზეთების დაღვრისთვის, ორ კილომდე ნაგვის გარემოში გადაგდებისთვის და ა.შ.

ზოგადად, გარემოს დაბინძურებაზე, რაც ბუნებას აზიანებს, არა მარტო ფულად, არამედ სხვა სახის სანქციებსაც ითვალისწინებს. ეს უკვე იმის მიხედვით, რა სახისაა გარემოსთვის მიყენებული ზიანი, რაც უკვე არა ადმინისტრაციული, არამედ საერთოდ სხვა კატეგორიის საქმეა.

**— მაგალითად, სისხლის სამართლის?**

– კანონი თვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი, გარემოს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, ის კანონის წინაშე პასუხს აგებს.

**— რაც შეეხება აღსრულებას... ვინ გააკონტროლებს კანონით დაწესებულ შეზღუდვებს?**

– აღსრულება სამ სახელმწიფო ინსტიტუტს დაევალება, ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობა, შს სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი.

თუ ინსპექტორი წაასწრებს, დაუშვათ, მანქანიდან ნაგვის გადაგდების ფაქტს, შეადგენს შესაბამის ოქმს და დაჯარიმდება კანონდამრღვევი. თუ საპატრულო პოლიცია შეესწრება მსგავს ფაქტს, მას ექნება უფლებამოსილება, ეს განახორციელოს.

დაჯარიმდება ფეხით მოსიარულე, რომელიც ორ კილომდე ნაგავს გადააგდებს, მანქანიდან, საცხოვრებელი კორპუსიდან, ან მიატოვებს ნაგავს, ასევე ცხოველის მეპატრონე, რომელიც ქალაქში გაატარებს თავის ცხოველს და ფეკალური მასით დააბინძურებს.

**— საწარმოების მიერ დაბინძურებას რაც შეეხება...**

– საწარმოების შემთხვევაში, კატეგორიზაციისა და უფლებამოსილების მიხედვით, რეაგირება ჩამოთვლილ სამ ორგანოს ექნება გადანაწილებული.

**— ჯარიმები მაინტერესებს, რამდენი იქნება ჯარიმა სხვადასხვა დარღვევისთვის?**

– ჯერ ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ სანქციების ოდენობა მერყეობს დანაგვიანება-დაბინძურების მიხედვით. ახლა მუშავდება, ისე კი, ჯარიმის ოდენობა იქნება ორი ციფრიდან ზემოთ.

**— ქალბატონო მაია, როგორ გგონიათ, კანონის ამ სახით გამკაცრება, მოახდენს გავლენას საზოგადოების თვითშეგნებაზე?**

– კანონი იმ შემთხვევაში გვიშველის, თუ აღსრულება იქნება ეფექტიანი, ან ადამიანები შიშით თუ მის გარეშე მიხვდებიან, რომ თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ვინც ნაგვის ურნის გვერდზე ნაგავს დააგდებს, ავდგეთ და მივუთითოთ, რომ ნაგავი ურნამდე მიიტანოს.

**— მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ადამიანი შესაძლოა, ისეთ აგრესიას წააწყდეს, რომ მეორეჯერ აღარ გაუჩნდეს მსგავსი მითითების მიცემის სურვილი...**

– მეც მქონია შემთხვევა, როცა მიმითითებია ურნისკენ და ხელი აუქნევია მოქალაქეს, მაგრამ ვაწარმოებთ კამპანიას და ვფიქრობთ, იმოქმედებს საზოგადოების თვითშეგნებაზე.

**— ვინ იმუშავა კანონპროექტზე?**

– კანონპროექტზე სამინისტრომ იმუშავა და დაეხმარა ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტი.

– როდის შევა ძალაში კანონში შეტანილი ცვლილებები?

– კანონპროექტი თვის ბოლოს წარდგება პარლამენტში და ძალაში შევა დაახლოებით საშემოდგომო სესიის მიმდინარეობისას. სიახლეები ძალაში შევა არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად.



„დაჯარიმდება ფეხით მოსიარულე, რომელიც ორ კილომდე ნაგავს გადააგდებს მანქანიდან, საცხოვრებელი კორპუსიდან, ან მიატოვებს ნაგავს, ასევე ცხოველის მეპატრონე, რომელიც ქალაქში გაატარებს თავის ცხოველს და ფეკალური მასით დააბინძურებს“

დიანა ლიპარტელიანი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნაცმოძრაობა“ მთავრობას საწვავზე აქციზის გაუქმებისკენ მოუწოდებს



განცხადება ამის შესახებ პარტიის წევრმა მიხეილ მაჭავარიანმა გააკეთა. მან წარმოადგინა სტატისტიკა, რომლის მიხედვით, ყველა ტიპის საწვავზე ბოლო 4 წლის განმავლობაში ფასი საშუალოდ 20 თეთრითაა მომატებული.

„საერთაშორისო ბაზარზე ფასების კლების მიუხედავად, საქართველოში საწვავის ფასი არ იკლებს“, – განაცხადა მაჭავარიანმა და კვლავ მოუწოდა მთავრობას, საწვავის იმპორტზე აქციზის გადასახადი გააუქმოს.

„2010 წლის დეკემბერში, ანუ მაშინ, როდესაც საწვავი 92 დოლარი ღირდა, რა ღირდა ბენზინი საქართველოში? „რეგულარი“ – 1,90 ლარი, დღეს კი 2,12 ლარი, ანუ 22 თეთრით მეტი ღირს. მაშინ ბენზინი „პრემიუმი“ ღირდა 2,03 თეთრი და ეს ის პერიოდია, ლარი რომ „სადღაც ჯიბეში“ მიდიოდა და ახლაც ეძებენ, სად! ახლა „პრემიუმი“ 2,30 თეთრი, ანუ 27 თეთრით მეტი ღირს“, – განაცხადა მაჭავარიანმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე „ფავორიტ პრინტის“ ლობირებას უარყოფს



დიმიტრი ქუმსიაშვილი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში საპარლამენტო უმცირესობის წევრ ხათუნა გოგორიშვილს ადანაშაულებს.

გავრცელებული ინფორმაციით, სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის უფლება წელსაც „ფავორიტ პრინტს“ მიენიჭა. პოლიგრაფიული ბიზნესი კი ივანე თევდორაშვილისაა, რომელიც ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის ცოლისძმაა.

„ეს აბსოლუტური სისულელე და მარაზმია, მე არანაირი კავშირი არ მაქვს კერძო ბიზნესთან. ჩემი ცოლის ძმა მთელი ცხოვრება არის პოლიგრაფიულ ბიზნესში, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ეს მარაზმი ქალბატონმა ხათუნამ აწია და მგონი, უნდა შევწყვიტოთ ეს არაფრის შემცველი განცხადებები“. – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

სასკოლო წიგნების ბიზნესის ლობირების თემასთან დაკავშირებით კომენტარი ეკონომიკის მინისტრმაც გააკეთა. „დარწმუნებული ვარ, რომ განათლების სამინისტრო ამ პროცესებს ძალიან გამჭვირვალედ ატარებს და გამორიცხული არაა, ვიღაც, საბოლოო ჯამში, ვიღაცის ნათესავი აღმოჩნდეს, მაგრამ გამოვრიცხავ, რომ ლობირებას ჰქონდეს ადგილი ჩემი მოადგილის მხრიდან“. – აღნიშნა მან. (ფრონტნიუსი)

# ვინ მიაყენებს შემოდგომაზე უმძიმეს დარტყმას ხელისუფლებას „ოცნებიდან“?



**თემურ შაშიაშვილმა თავის „ფეისბუკის“ გვერდზე დაწერა: „საქართველო არის საცოდავი ქვეყანა, რადგან პოლიტიკოსების 99% ქვეყნის გარედან იმართება. თურქეთსაც ჰყავს ქართველ პოლიტიკოსებს შორის აგენტები, აზერბაიჯანსაც, სომხეთსაც, მაგრამ ერთადერთი საქართველოს მოსახლეობას არ ჰყავს ხელისუფლებაში თავისი აგენტი...“**

**„ალიას“ „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო თემურ, თქვენი „პოსტი“ ვნახე და თითქმის ყველა ქართველი პოლიტიკოსი აგენტი გამოდის...**

– უცხოეთში არიან გავლენიანი ადამიანები, რომელთაც აქვთ ინტერესები ჩვენს ქვეყანაში. ეს ადამიანები არიან თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ამერიკაში. მათ აქ დასაყრდენებად ჰყავთ გავლენიანი პოლიტიკოსები, მათ შორის, საქართველოს პარლამენტშიც. მაგალითად, უკრაინელები მეუბნებიან, რომ ყველაზე დიდი ფული უკრაინაში აქვს გუბერნატორ კალამოისკის. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გამოდიან და გაიძახიან, არ ვეხმარებით უკრაინასო, ჭკვიანი ადამიანები კი ამბობენ, რომ კალამოისკიმ რომ მოხალისეთაგან ჯარი შექმნა, მთელი ფინანსური რესურსები გაილო საქართველომ. ფეროშენადნობი ქარხანა და ფერადი ლითონები კალამოისკისაა. სააკაშვილმა თავის დროზე ჩამოიყვანა ეს კაცი აქ, ეკონომიკის ყველაზე დიდი ღერძი მას ჩაუგდეს ხელში. გაიკითხეთ, რა ხელფასები აქვთ დნეპროპეტროვსკში მეტალურგებს და ნახავთ, რომ კალამოისკი არის ყველაზე უნამუსო კაცი, აქ რომ ჩამოვიდა, მისი დირექტორი ქართველებს ეუბნებოდა, სანამ ხელს ჩამომართმევთ, ტუალეტში შეიარეთ და ხელები დაიბანეთო. წარმოგიდგენიათ, ამას რომ გეუბნებიან, როგორი დამცირებული ხარ? იმ ხელისუფლებამ ხომ ჩამოიყვანა აქ და ფული აშოვნინა, მას დღევანდელ პარლამენტშიც ლობი ჰყავს.

მე რომ ვამბობ რამეს, ჩუმად მითვლიან და მეუბნებიან, რა მართალი ხართ, ბატონო თემურ, რა კარგია, რომ ამაზე ლაპარაკობთ, ჩვენ ვერ ვბედავთო. ხომ გახსოვთ, რა ამბები იყო ატეხილი საწვავის ფასებზე? ივანიშვილი სწორად ამბობდა, რომ დენსა და გაზზე ხელოვნურად არის გაზრდილი ფასები. ჩვენი გავლით იღებს ბენზინს სომხეთი და იქ უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან. სააკაშვილის დროს რა მძიმე მდგომარეობაც იყო, იგივეა ახლაც. ვინმე მთავრობიდან ჩასულა ექსპერტებთან ერთად და დაულაპარაკია აზერბაიჯანში, რომ ეს საკითხი გაერკვია?

**— კალაძე და ივანიშვილი ხომ იყვნენ ჩასული და თქვეს, რომ შეუძლებელია ფასების დაწევა?**

– როგორ შეიძლება, რომ საქართველოს, რომელიც ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსებით იყო სამეულში, ასე ძვირი ჰქონდეს ენერგეტიკა? ერთი ლარი ღირს ბენზინი ბელორუსში. სააკაშვილი ბიუჯეტს ავსებდა უკანონო ქმედებებით. ბიუჯეტი ივსებოდა იმ წყაროებიდან, რომელიც ქვეყანას ანგრევდა. ამ ენერგეტიკით შემოსულ თანხას მხოლოდ სააკაშვილი კი არ იდებდა ჯიბეში, ახლა მოხდა მისი ჩანაცვლება. ენერგეტიკულ ფასში იმდენი ქრთამია შეტანილი, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო ხელისუფლებამ. მხოლოდ ერთი მხარე კი არაა აქ, მეორე მხარეცაა და ამიტომ ხელისუფლება კომპრომისებზე მიდის, რის გამოც მას თანავუგრძნობ. უნდა თქვას ეს მან გულახდილად.

**— ბატონო თემურ, აგენტი პოლიტიკოსები ვინ არიან და რა დავალებებს ასრულებენ?**

– თურქეთმა ცალმხრივად შეცვალა კანონი სააკაშვილის დროს, რომ ქართველები, რომლებიც გადავიდოდნენ იქით, მხოლოდ 90 დღე ყოფნის უფლება ჰქონდათ, მერე უნდა დაბრუნებულიყვნენ. ეს იყო დამამცირებელი კანონი, რადგან 90 დღეზე მეტხანს დარჩენა შეეძლო მას, ვინც თეფშებს რეცხავდა, სასტუმროს ალაგებდა, ქუჩას გვიდა და უვლიდა თურქს. ასე ჩაწერეს პირდაპირ კანონში. მე თურქეთს კი არ ვაკრიტიკებ, ის სათავისოდ სწორად იქცევა, მაგრამ საქართველოს პარლამენტში რომ ხარ და თავმოყვარეობა გაქვს, აქ თურქ ბიზნესმენებს ფეხებს უნდა ბანდე და ხალიჩასავით ეგებოდე? აჭარაში რა ხდება, ხომ ხედავთ? თურქეთში ამბობენ, აღმაშენებლის პროსპექტი ჩვენია, იქ რა ობიექტებიც არის, სულ ჩვენიაო. ამ ყველაფერზე ვსაუბრობთ პარლამენტის გარეთ, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვწყვეტთ. საქართველოს აუცილებლად ეყოლება ხელისუფალი, რომელიც შვეიცარიის გზით წაიყვანს ქვეყანას, მაგრამ დღეს ხმას არავინ იღებს. ახლა პოლიტიკოსები ორიენტირებენ არა იმაზე, რა მოეწონება ხალხს, არამედ იმაზე, რა მოეწონებათ უკრაინაში, სომხეთში, ამერიკასა და რუსეთში. სულ სხვა ქვეყნებზეა გათვლილი ყველა ქმედება, რომელთაც აქ თავისი ამფსონები ჰყავთ. რუსეთის ინტერესებს ყველაზე მეტად იცავს ის, ვინც რუსეთს ხმამაღლა ლანძღავს. როგორ უნდა გძულდეს შენი ქვეყანა, რომ სხვა ქვეყნის თამაშს თამაშობდე? საქართველოს ინტერესებს უფრო ნაკლები დამცველი ჰყავს საქართველოს პარლამენტში, ვიდრე სხვა ქვეყანას...

**— გვარები დამიკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?**

– არსებობს 20-30 გვარი, რომლებზეც პარლამენტში დიდი ხმაური უნდა ატეხილიყო, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება სომხებსა და აზერბაიჯანელებს ბიზნესად აქვთ ქცეული. იყიდეს კლინიკები და ქართველების ჯანმრთელობა ბიზნესად აქციეს. მათ კარგად იციან, რომ აქ აფთიაქებსა და კლინიკაში დიდი ფული იშოვება, მენეჯერი ჰყავს თურქი, მუშაობენ ქართველი ექიმები. მსგავსი რამე რომელ ქვეყანაშია? რომელი ქართველია ასე ფუფუნებაში სხვა ქვეყანაში?

**— ალბათ, იაშვილის ბავშვთა კლინიკას გულისხმობთ... ისე, ამდენი აგენტი პოლიტიკოსი თუ გვყავს, ჩვენი სპეცსამსახურები რას აკეთებენ, თქვენ თუ გაიგეთ, მათ არ იციან?**

– ეგ ვის აინტერესებს? ეგენი იმაზე კი არ ფიქრობენ, გარედან რა საფრთხეები აქვს ქვეყანას, არამედ იმაზე, როგორ დაამარცხონ არჩევნებში მოწინააღმდეგე და გაიყვანონ ის ძალა, რომელიც უნდათ. ეს არ აინტერესებს არც ღარიბაშვილს, სამწუხაროდ. პარკები და ბაღები გაიყიდა საქართველოს მიწაზე და ქართველების არაფერი არ იქნება მალე. 5 წუთი დაელაპარაკონ ხალხს და ყველამ ყველაფერი იცის, ვინ ვის უკან დგას და რა ინტერესებს ემსახურება. ნაცვლად იმისა, რომ სირცხვილით იწვოდეს, ხელისუფლებაში მოვიდნენ და კიდევ აქეთ მოძღვრავენ ერს. რასაც აკეთებდნენ „ნაციონალები“, იგივე გააკეთა „ოცნებამ“. აქამდე ქვეყანას ერთი ძარცვავდა, ახლა ორივე ძარცვავს. ყველაზე სუსტი რგოლი ამ ხელისუფლების, უმძიმეს დარტყმას რომ მიაყენებს და შემოდგომაზე იგრძნობს, ეს არის „ქართული ოცნებიდან“ და „ნაციონალებიდან“ არჩეული ხალხი საკრებულოებში, რომლებსაც მიჰყავთ, პრაქტიკულად, რაიონებში პოლიტიკა. ესენი რომ განათლებული და მომზადებული ადამიანები იყვნენ, პრობლემა არ არის, მაგრამ ესენი არიან სკამის კაცები, რომლებმაც ყოველთვის შეძლეს, რომ შეენარჩუნებინათ თავისი პოზიციები.

**— ბატონო თემურ, შემოდგომისთვის ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციაზე საუბრობენ. ამაზე გაქვთ რამე კონკრეტული ინფორმაცია?**

– დიახ, ასეა. საუბრობენ ახალ მოძრაობაზე, როგორც მითხრეს, თურმე ბიძინასთვის უთქვამთ, ამ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაამართლა და იქნებ ახალი მოძრაობა გაკეთდესო. თურმე ამის გაგონება არ უნდა ბიძინას, მაგრამ ფაქტია, ხალხი აღარ ენდობა „ოცნებას“. არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ბევრი იბრძოლეს ხელისუფლების შესაცვლელად და მერე ხელისუფლებამ ისინი მიატოვა, სწორედ ასეთი ხალხისგან უნდა შეიქმნას ახალი მოძრაობა.

**— სომხეთიდან ახლახან დაბრუნდით. რა ხდება იქ?**

– სომხეთში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო ინტელიგენციასთან, პროფესურასთან. ჩემთვის მეტად საინტერესო იყო ის, რომ სომხეთი ცდილობს, ევროპული განწყობით შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა. უცხოელი რომ ხსნის იქ მაღაზიებს, არ შედიან, რათა უცხოელმა ფეხი არ მოიკიდოს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ კარჩაკეტილობის მომხრე ვარ, მაგრამ მე ვხედავ, რომ საქართველო ისე გახსნეს, ქართველებისთვის აღმოჩნდა აქ ცხოვრება რთული. მოვიხიბლე იმით, რაც ვნახე, როგორ შეუძლია ერევანს ასეთ მძიმე პირობებში ასე ღირსეულად წარმოაჩინოს თავი. ისინი ტრაბახობენ იმით, რომ საქართველოში გამაგრებული აქვთ პოზიციები, საქართველოში კი ხელისუფალთა განწყობა ისეთია, როგორც ქვეყნის გარეთ მცხოვრებთ სურთ. ის ადამიანები, ვინც ქვეყნის გარედან იმართებიან, ქვეყანაზე არ ფიქრობენ, ფიქრობენ იმაზე, როგორი აზრი ექნება მას, ვისგანაც იმართება.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსთაველის 30 ნომრიდან „სონის“ ასახლებენ




მიმდინარეობს არსებული მოძრავი ქონების აღწერა, დაწყებულია გამოსახლების პროცესიც. ობიექტი შპს „რუსთაველი ფროფერთის“ მფლობელობაშია, კომპანიას შენობა 2012 წელს გადაეცა, თუმცა იმის გამო, რომ იქ კომპანია „სონის“ მოძრავი ქონება იყო განთავსებული, ისინი შენობაში შესვლას ვერ ახერხებდნენ, „სონის“ წარმომადგენლობა გამოსახლების პროცესს არ დასწრებია.

„აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არაერთხელ აცნობა მოვალეს, მოეხდინა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება, თუმცა მოვალის მხრიდან აღნიშნული ქმედების განხორციელებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, კანონმდებლობის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. მოძრავი ქონება რჩება ადგილზე, უბრალოდ, ამ ეტაპზე დათვლის შედეგად მოხდება აღწერა და ჩაბარდება კრედიტორს“, – განაცხადა აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა მარი კლდიაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მწვანე კაცუნები“ მოლდოვაშიც გამოჩნდნენ



უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სპიკერის, ანდრეი ლისენკოს განცხადებით, რუსეთის მორიგი სამიზნე მოლდოვაა.

„რუსეთი დესტაბილიზაციას არამარტო უკრაინაში, სხვა ქვეყნებშიც ცდილობს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მოლდოვაშიც გამოჩნდნენ „მწვანე კაცუნები“, რომლებიც ახალგაზრდებს გარკვეული გასამრჯელოს შეთავაზების სანაცვლოდ ქირაობენ, რის შემდეგაც ასწავლიან მათ დეზინფორმაციის, პანიკის დათესვის, დესტაბილიზაციის მოწყობასა და სხვა მეთოდებს, რომელიც ასე კარგად გამოიყენეს ჩვენს ქვეყანაში. მოლდოვიდან მიღებული ინფორმაციით, ქვეყნის სამხრეთით 500 ახალგაზრდაა, რომელთაც გადამზადება მოსკოვში, როსტოვსა და დნესტრისპირეთში გაიარეს“. – აცხადებს ლისენკო. (ნიუპოსტი)




## ზუგდიდში 45 წლის მამაკაცი დაჭრეს

ინციდენტი 7 სექტემბერს ღამით სოფელ ცაიში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მამუკა ჯანაშიას შელაპარაკება მეზობელთან მოუვიდა, რომელმაც მას ცეცხლსასროლი იარაღიდან მუცელში ესროლა.

დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების ინფორმაციით, დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





„ადრე „სტაიანკის“ დროს ჰაერიც და სივრცეც გვქონდა, ხალხი მოძრაობდა, მანქანების გასაჩერებელი იყო, ახლა საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია, როცა ცხვირწინ ამდენი ჯიხური დაგვიდგეს. ეს ახალი დამქირავებელი რომ შემომედავა, ეტყობა, გარემოვაჭრედ ჩამთვალა და არა პრესის თავისუფალ მოვაჭრედ. ამ დროს თვითმმართველობის მიერ გამოყოფილ ადგილზე ვდგავარ. ამიტომ დაგიკავშირდით, დაცვა მჭირდება“

# „დეზერტირების“ ბაზრის „სტაიანკა“ გაყიდულია

## როგორ ავიწროებენ თავისუფალ პრესას

**ეს ამბავი პრესის გამავრცელებლის, ე.წ. კრიკუნის შევიწროებით დაიწყო, გაზეთი კი უფრო მნიშვნელოვან საკითხზე გაიყვანა: საქმე ეხება ქალაქში „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარედ ავტოსადგომის გაუქმებას და აქ ჯიხურების ჩადგმის ფაქტს.**

**ნანა კალხიტაშვილი, პრესის გამავრცელებელი:**

– 1995 წლიდან მოგვცეს უფლება, რომ გაზეთების სტელაჟი მდგარიყო „დეზერტირების“ ბაზრის ახლოს და ამდენი წლის განმავლობაში ეს ადგილი შეუცვლელია. ამის შესახებ მერიამაც იცის, რომ ჩვენ პგს-ის წევრები, ანუ, პრესის გავრცელების სამსახურის წარმომადგენლები ვართ. ჩვენ ვყიდით „ალიას“, „რეზონანსს“, „ახალ თაობას“ და ვყიდდით „7 დღესაც“. ამ გაზეთების დამფუძნებლებმა შექმნეს ეს ფირმა და მე აგერ მეოცე წელია, თანამშრომელი ვარ და გვაქვს უფლება, გავყიდოთ გაზეთი, ყვავილი, ხატი და სანთელი. თუ გახსოვთ, ჯიხურები რომ აიღეს ქალაქში, ღია სტელაჟებს მაინც ვერ შეეხნენ, რადგანაც მერია და ქალაქის თავისუფალი ვაჭრობის კანონი ამის ნებას გვრთავს. ქალაქში საამისოდ ადგილებია გამოყოფილი და ითვლება, რომ ხელშეუხებლები ვიყავით. როგორც კი რამე სადავო საკითხი წამოიჭრება, პგს-ს ხელმძღვანელობა ასეთ საკითხებს აგვარებდა.

**— დღეისთვის ვინ არის ასეთი ხელმძღვანელი?**

– „რეზონანსის“ წარმომადგენელია, მენეჯერი პაატა, გვარი არ ვიცი, არჩევითია ეს ხელმძღვანელობა და ამ პერიოდში „რეზონანსი“ კურირებს ამ საკითხს. მაგრამ დღეს ძალიან რომ გამიჭირდა, დავრეკე და პაატა არ აღმოჩნდა ქალაქში.

**— და რა ხდება?**

– რა ხდება და ამ ადგილას, დაწყებული წერეთლის ძეგლიდან დეზერტირების ბაზრამდე, იყო უზარმაზარი „სტაიანკა“, რომელიც მერიამ გაყიდა ზედ მერის არჩევნების წინ. ხომ ხვდებით, როგორც ხდება ხოლმე. ვიცი, რომ მესამე თვეა, ერთმა პიროვნებამ შეისყიდა ეს ამხელა ტერიტორია, დგამს ორ მწკრივად შავ ჯიხურებს და რამდენიმე იჯარით გასცა უკვე. ისე, რა სახით გაიყიდა ტერიტორია, ესეც კითხვის ნიშნის ქვეშაა, ანუ, სასწრაფოდ მოასწრო იმ მერიამ. მოკლედ, ჩაიდგა ეს ახალი ჯიხურები და ეს ახალი მწკრივი ჩემს სტელაჟთან მეტრა-ნახევრითაა დაშორებული. მოკლედ, ახლოს მდებარე ჯიხურის დამქირავებელმა ჩემზე იჩივლა, მიშლის ხელსო.

**— ვისთან იჩივლა, პატრული მოვიდა?**

– აბა? ძალიან ვინერვიულე, მოვიდა პატრული და მან ჰკითხა, რაში ეშლებოდა ხელი და პასუხი იყო, სტელაჟის გამო ხალხი ვერ მხედავსო, მაგრამ მარტო მე კი არ შემაწუხეს და შემავიწროვეს, ფაქტობრივად, დაწესებულებები, რომლებიც აქ ამ რიგზე არიან განთავსებულები, რეალურად ამ ჯიხურებმა ჩაკეტა. ადრე „სტაიანკის“ დროს ჰაერიც და სივრცეც გვქონდა, ხალხი მოძრაობდა, მანქანების გასაჩერებელი იყო, ახლა საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია, როცა ცხვირწინ ამდენი ჯიხური დაგვიდგეს. ეს ახალი დამქირავებელი რომ შემომედავა, ეტყობა, გარემოვაჭრედ ჩამთვალა და არა პრესის თავისუფალ მოვაჭრედ. ამ დროს ვიმეორებ, თვითმმართველობის მიერ გამოყოფილ ადგილზე ვდგავარ. ამიტომ დაგიკავშირდით, დაცვა მჭირდება.

**დაცვამდე ვუკავშირდებით ჯიხურის მეწილეს აკაკი ლუტიძეს:**

– ეგ სტელაჟი მაღაზიის მუშაობას უშლის ხელს, ეფარება და მინდა, რომ ხელი არ შემიშალოს და თავის თავზე იზრუნოს.

**— ის სტელაჟი აქ ოფიციალურად დგას 20 წელია, თან მერიის ნებართვით.**

– 20 წელიო, რომ ამბობთ, პაპაჩემი 87 წლის მოკვდა და აღარ არის. აბა, მე რა ვქნა? ეგ მე მეფარება, ბევრი ადამიანი ვერ მხედავს და ზარალია ჩემთვის, ვერ ვიმუშავებ. სახელმწიფო მოხელეებმა უკვე ჩაიბარეს ეს საქმე და გადაწყვეტენ, ალბათ.

**— ვინ სახელმწიფო მოხელეებმა?**

– პატრულმა და გადაწყვეტილებას მაცნობებენ. მსჯელობა იქნება და დასკვნას მომცემენ.

**სანამ სტელაჟების ამბავს ვარკვევ, ჩემთან ახლოს, კორპუსის შენობაში მდებარე დაწესებულებებიდან ადამიანები გამოდიან და მელაპარაკებიან.**

**შავკაბიანი ქალი:**

– მაგ ჯიხურებს ორივე მხარეს კარი აქვთ და ჩვენ ვუშლით ხელს? 900 დოლარია ერთი თვის გადასახადი ამ ჯიხურების მეიჯარეების და ორი თვისას ამ ჯიხურების მეპატრონე წინასწარ იღებს ამათგან. მაგრამ ვინც აილო ეს ჯიხურები, წუწუნებს, მუშაობა არ გვაქვსო. კი, მაგრამ



„ესენი არიან მიშას ნაძირალები, მესამე თვეა, სასამართლოში შეტანილი მაქვს განცხადება, რომ შეაჩერონ ამ უბედურების მშენებლობა ქალაქში და პასუხი არ ისმის. შევიტანე ადმინისტრაციული სარჩელი მერიაში და მერიამ აბუჩად აგვიგდო, წადით სასამართლოშიო. სასამართლომ არ შეაჩერა აღნიშნული მშენებლობა, მიზეზი, ვითომ სერიოზულ ზიანს მივაყენებდით პირებს“

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ნატო აღმოსავლეთ ევროპაში სწავლებებს რეგულარულად ჩაატარებს



ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ალექსანდრ ვერშბოუს განცხადებით, ალიანსი აღმოსავლეთ ევროპაში რეგულარულ სწავლებებს უფრო ხშირად ჩაატარებს. ამასთანავე, სამხედრო მაღალჩინოსანმა აღნიშნა, რომ სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა „თავდაცვით ხასიათს“ ატარებს და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის.

შეგახსენებთ, რომ 4-5 სექტემბერს უელსში გამართულ სამიტზე ალიანსმა „მზადყოფნის გაზრდის მოქმედებათა გეგმა“ მიიღო, რომლის თანახმად, ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში სპეციალური „მოწინავე ჯგუფი“ შეიქმნება. მისი მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერ წერტილში გადასროლა ორ დღეში იქნება შესაძლებელი. ახალი ძალების შტაბი – პოლონეთში, მოწინავე შენაერთები კი აღმოსავლეთ ევროპაში განლაგდებიან.

ახალი სტრუქტურის ოპერატიული ამოქმედებისთვის ალიანსი აღმოსავლეთ ევროპაში საშტაბო და ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას გააფართოებს და ამასთანავე, „მოულოდნელი სწავლებების რეგულარული ჩატარების“ პრაქტიკას განაახლებს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული ლევან პ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ქარხნული წესით დამზადებული „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი მჭიდი და 50 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. (ნიუპოსტი)

## თბილისის მერიასთან სამი პირი დააკავეს




თბილისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე 7 სექტემბერს გვიან ღამით სამართალდამცველებმა სამი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალგაზრდები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სასმელის დალევის გამო დააჯარიმეს, რასაც სამართალდამცველების მიმართ წინააღმდეგობა მოჰყვა. სამი მათგანი წინააღმდეგობის გაწევისთვის ადგილზე დააკავეს, მას შემდეგ კი, რაც გაირკვა, რომ არაყი ერთ-ერთი მაღაზიიდან იყო მოპარული, ორი მათგანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ქურდობის მუხლით აღიძრა. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

ტროტუარზე არიან ეგენი განთავსებულები და ჩვენ რომ გვთხოვენ აქედან წასვლას, ამის უფლება აქვთ?

**მერაბ ბასილაძე, ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომელი:**

– როცა ამ ჯიხურების დადგმა დაიწყეს გზაზე, აქაურმა მეზობლებმა ვერ იაქტიურეს, არადა მერიამ გვითხრა, კრება მოიწვიოს აქ მაცხოვრებელმა ხალხმა და ნოტარიუსით დამტკიცებული ხელმოწერები მოგვიტანეთ, რომ აპროტესტებთ ჯიხურების ჩადგმასო. მოპირდაპირე მხარეს სასამართლო არბიტრაჟია და იქაურმა იურისტმა სტეფანე ნემსიწვერიძემ გვითხრა, თქვენი ადვოკატი ვიქნები და მან შეიტანა რამდენჯერმე განცხადება, მაგრამ ვერ მოვერიეთ მერიას. არჩევნებამდე ბევრი პარტია იყო მოსული და მათაც ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ისინი გვეუბნებოდნენ, ჯერ ხმა მოგვეცითო. გარდა იმისა, რომ საქმეში გვიშლის ხელს ეს ჯიხურები, სადგომი გაუქმდა მანქანების და ეს შეიძლებოდა? თან ვითხოვდით: სასამართლოში ვჩივით და მანამდე დროებით შეაჩერეთ ამ ჯიხურების ჩადგმა-თქო და არ შეაჩერეს. უზარმაზარი ტერიტორიაა და ვინ იყიდა, როგორ იყიდა, არაფერი ვიცით.

**— ტენდერი ჩატარდა ამ ტერიტორიის გაყიდვისას?**

– ეგ იმ პიროვნებას ჰკითხა ჩვენმა იურისტმა, ვინც ამბობდა, ვიყიდეო, და არაო, არ ჩაგვიტარებიაო. კი, მაგრამ მანქანები სად უნდა დააყენოს ხალხმაო, რომ ვიკითხეთ, გვიპასუხა, – ეგ ჩემი საქმე არ არის, ჩემი პრობლემაა, ავაშენო, მერე გავაქირაო ჯიხურები და ფული ავიღოო. ეს ხალხი, ვინც აქ მოდის, მოტყუებულია, რადგანაც სამი თვით ადრე გამოართვეს ფული წინასწარ, ახლა მუშაობა არ აქვთ და ჩვენზე შური იძიეს იმით, რომ ეჩხუბებიან გაზეთების გამყიდველს. ხალხი არ მოდისო, ამბობენ და ნახონ, ბაზრობებია ცარიელი, ხალხს ფული არ აქვს და აქ ვინ მოვა? წეღან ვისმენდი თქვენს საუბარს და ორი თვის კი არ აქვთ გადახდილი წინასწარ, სამი თვის თანხა აქვთ გადახდილი, 2700 დოლარი! ამ დროს ტუალეტები არ არის, მთელი დღე აქ რომ კაცი იმუშავებს, სად უნდა წავიდეს? სუნს ვერ გრძნობთ? ან სველი წერტილი არ უნდა ჰქონდეთ? მინდა, რომ მივიდე ბაზართან და მანქანა სად გავაჩერო? არ აინტერესებთ! თუნდაც ამ პავილიონთან, ან ჯიხურთან მყიდველი არ უნდა მოვიდეს? მანქანა სად დააყენოს? ამ ადგილს კიდევ ეს უნდოდა?



გეგი ნიჟარაძე

**„პრესის გამავრცელებელი დგას მერიის ნებართვით და ყველაზე მეტი, რაც მას შეუძლია გააკეთოს, ესაა სტელაჟის იერსახის ცვლილება, ანუ გადახურვა. რაც შეეხება თავად მაგ ჯიხურებს, ეგ კიდევ გასარკვევია, რამდენად კანონიერია პარკინგის გასხვისება, იქ ჯიხურების ჩადგმა და ტროტუარისა და ფეხით მოსიარულეთა შევიწროება და როგორი დაჩქარებული წესებით გასცეს მაგაზე ნებართვა? ამიტომ მაგ საკითხს მივხედავ“**



გიორგი ტყემალაძე

**„ოთხშაბათს სპეციალური კომისია იქმნება, რომელიც სწავლობს უკანონო ნებართვებს. არანაირი დაბლოკვა, ფიზიკურად ვერც გავაკეთებდი ამას, რომც მომენდომებინა. გულწრფელად გეუბნებით, რა დაბლოკვაზეა საუბარი. საინტერესოა, ის ადამიანი თუ გამოჩნდა, დამიკავშირდეს და ერთად გავივლით ამ საკითხს, ვინ და რა დაბლოკა“**

**ვუკავშირდებით ადვოკატს სტეფანე ნემსიწვერიძეს:**

– ესენი არიან მიშას ნაძირალები, მესამე თვეა, სასამართლოში შეტანილი მაქვს განცხადება, რომ შეაჩერონ ამ უბედურების მშენებლობა ქალაქში და პასუხი არ ისმის. შევიტანე ადმინისტრაციული სარჩელი მერიაში და მერიამ აბუჩად აგვიგდო, წადით სასამართლოშიო. სასამართლომ არ შეაჩერა აღნიშნული მშენებლობა, მიზეზი – ვითომ სერიოზულ ზიანს მივაყენებდით პირებს. მანქანა სად უნდა დადგეს? ამისი მფლობელები არიან ბანდიტები, მიშას ყოფილი პარტიის წევრები. ადრე ეს ადგილი იყო „სითი პარკის“ მფლობელობაში და ამბავი რომ ატყდა, გადაინაწილეს მთლიანად ქალაქის ფართები, რომლებიც ვითომ გაასხვისეს. მაგათ 3800 კვ.მ მიითვისეს მთელ თბილისში. სადგურზე ადით და იქ ნახეთ, იქ მეტი უბედურება ხდება. ეგ ადამიანები იყვნენ ყოფილ მერიასთან და საკრებულოსთან შეკრულები და „მხედრიონის“ დროს რომ „ბუტკები“ იყო, ეგრე გააკეთეს ახლაც. 150 ადამიანი, აქაური მოსახლე აბუჩად აგვიგდეს. განცხადება ახალ საკრებულოშიც შევიტანე, საკითხი დაბლოკა გიორგი ტყემალაძემ და არ განიხილეს. ქალაქელ კაცს ეს არ უნდა აწუხებდეს?

**ვუკავშირდებით ქალაქელ კაცს, გიორგი ტყემალაძეს და მაინტერესებს, რატომ დაბლოკა საკითხი:**

– ეს აბსურდია, ეს განცხადება ჩემამდე არც მოსულა, შეიძლება იურიდიულ კომისიაზე იყო დაწერილი. გავარკვევ, სად არის და როგორ არის.

**— კარგი იქნება, რადგანაც ამბობდით, „ნაციონალების“ დანაშაულებს გამოვარკვევთო და ავტოსადგომის გაუქმება ბაზართან არ არის მნიშვნელოვანი?**

– ამას შეისწავლის მერიის სამსახურები, ოთხშაბათს სპეციალური კომისია იქმნება, რომელიც სწავლობს უკანონო ნებართვებს. არანაირი დაბლოკვა, ფიზიკურად ვერც გავაკეთებდი ამას, რომც მომენდომებინა. გულწრფელად გეუბნებით, რა დაბლოკვაზეა საუბარი. საინტერესოა, ის ადამიანი თუ გამოჩნდა, დამიკავშირდეს და ერთად გავივლით ამ საკითხს, ვინ და რა დაბლოკა.

**— ანუ ამ ადამიანმა კვლავ მოგმართოთ?**

– კი, ბატონო, დამიკავშირდეს, არანაირი პრობლემა არ არის და გავარკვევთ ადგილზე.

**რაც შეეხება გაზეთების გამავრცელებელ ნანა კალხიტაშვილის პრობლემას, ვუკავშირდებით მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს, გეგი ნიჟარაძეს:**

– პრესის გამავრცელებელი დგას მერიის ნებართვით და ყველაზე მეტი, რაც მას შეუძლია გააკეთოს, ესაა სტელაჟის იერსახის ცვლილება, ანუ გადახურვა. რაც შეეხება თავად მაგ ჯიხურებს, ეგ კიდევ გასარკვევია, რამდენად კანონიერია პარკინგის გასხვისება, იქ ჯიხურების ჩადგმა და ტროტუარისა და ფეხით მოსიარულეთა შევიწროება და როგორი დაჩქარებული წესებით გასცეს მაგაზე ნებართვა? ამიტომ მაგ საკითხს მივხედავ და როგორც კი იქნება კიდევ შევიწროება ამ ქალბატონის, იმ წამსვე ცხელ ხაზზე დაგვიკავშირდეს და რეაგირება იქნება მყისიერი. რა, გაზეთის წაკითხვას დავუშლით ვინმეს? და ნამდვილად არ მივესალმები რკინის ჯართების ჩადგმას შუა ქალაქში, ისედაც გადატვირთულია ეს უბანი, უარესი გააკეთეს და გპირდებით, მივხედავთ.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ახალი სანქციების მოლოდინში რუბლი ვარდნას განაგრძობს



8 სექტემბერს დილით მოსკოვის სავალუტო ბირჟაზე კვლავ დაფიქსირდა რუბლის კურსის ვარდნა. დოლარის კურსი რუბლთან მიმართებაში 37,10-ს გაუტოლდა, ხოლო ევრო 48 რუბლია.

რუსეთში ელოდებიან ევროკავშირის გადაწყვეტილებას ახალი სანქციების შემოღების თაობაზე და რუბლის ვარდნაც ამ ფაქტორითაა გათვალისწინებული, რადგან სანქციები, შემოღების შემთხვევაში შეეხება „როსნეფტს“, „გაზპრომნეფტს“, „ტრანსნეფტს“, „გაზპრომბანკს“ და რამდენიმე არასაჯარო სამხედრო წარმოების ობიექტს.

სანქციების შემოღების შემთხვევაში ექსპერტები კურსის კიდევ უფრო დაცემას ვარაუდობენ, ხოლო თუ ევროკავშირი გაითვალისწინებს აღმოსავლეთ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის ფაქტორს და არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რუბლი შეიძლება 20 კაპიკით გამყარდეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იზორია რეიდის ფაქტს უარყოფს



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებით, „გვიან ღამით პოლიციელებმა არა რეიდი, არამედ საპოლიციო ღონისძიებები განახორციელეს“.

„ეს ღონისძიება როგორც სხვა საპოლიციო ღონისძიებები, რომელიც ასახულია პოლიციის შესახებ კანონში, ემსახურება, პირველ რიგში, პრევენციულ ღონისძიებებს, ანუ მიმართულია იმისკენ, რომ მოქალაქეთა დაცვის მიზნით თავიდან იქნეს აცილებული ყველანაირი დანაშაული და სამართალდარღვევა და ერთ-ერთი მათგანი სწორედ საპოლიციო ღონისძიებები გახლავთ“, – განაცხადა იზორიამ. (ნიუპოსტი)

## „31-ე მუხლი საქართველოსთვის დამაზიანებელი არ არის“



საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, „ნატოს უელსის სამიტის დეკლარაციის 31-ე მუხლი საქართველოსთვის დამაზიანებელი არ არის“. მისი თქმით, კომუნიკეში გაწერილი ყველა ასპექტი სწორადაა მიღებული და ის ჩვენს ქვეყანას ზიანს არ მოუტანს.

„კატეგორიულად არ ვიზიარებ ჩვენი ოპონენტების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს, კომუნიკეს 31-ე მუხლი არის დამაზიანებელი საქართველოსთვის. ამის შესახებ განცხადება ჯეიმს აპატურაიმაც გააკეთა. კომუნიკეში საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებზე, რომელთაც საშუალება არ აქვთ თავისუფალი გადაადგილების, სწორედ ეს იყო ამ კონტექსტში ჩადებული და აპატურაიმ, მე მგონი, ძალიან სწორად განმარტა“, – განაცხადა ზალკალიანმა.

31-ე მუხლში ნათქვამია, რომ გაჭიანურებული კონფლიქტები კვლავაც რჩება შეშფოთების საგნად, რომელიც ძირს უთხრის რეგიონის მოქალაქეების შესაძლებლობას, მიიღონ სრული პოტენციალი, როგორც ევროატლანტიკური საზოგადოების წევრებმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





გოგი გოგოლაშვილი

# საჯარო სამსახურში ქართული ენის სერტიფიკატის გარეშე აღარ მიიღებენ

## პირველი დონის სერტიფიკატის გარეშე პრეზიდენტობას, პრემიერობას, მინისტრობას ვერავინ მიაღწევს

უახლოეს ხანში მთავრობაში კიდევ ერთი ახალი სტრუქტურა შეიქმნება – ქართული ენის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც დაემატება სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი კომისია. დეპარტამენტის თავმჯდომარეს დანიშნავს და მუდმივმოქმედ კომისიას უხელმძღვანელებს პრემიერ-მინისტრი. კანონპროექტის მიხედვით, რომლის განხილვასაც პარლამენტი სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყებს, კომისია დაადგენს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და წარუდგენს მთავრობას. ამავე პროექტის თანახმად, დეპარტამენტი უფლებამოსილი იქნება, დარღვევის ფაქტებზე გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სადამსჯელო ზომები.

**თუ რა ფუნქციების მქონე სტრუქტურის შექმნაზეა საუბარი და როგორი იქნება სადამსჯელო ღონისძიებები, ამაზე „ალიას“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი გოგი გოგოლაშვილი ესაუბრება:**

– სახელმწიფო დეპარტამენტში იმუშავებს დაახლოებით 50 ადამიანი და ეს იქნება უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში. რაც შეეხება კომისიას, ეს, არც მეტი, არც ნაკლები, არის სამართალმემკვიდრე იმ კომისიისა, რომელიც 1930-იანი წლებიდან არსებობდა საქართველოში. ასეთი რამ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არ შექმნილა.

**— ბატონო გოგი, თუ დეპარტამენტი და კომისია ცალ-ცალკე სტრუქტურები იქნება, მაშინ ხომ არ გვექნება საქმე დუბლირებასთან?**

– კომისიაში იმუშავებენ სპეციალისტები, რომლებიც შეიკრიბებიან პერიოდულად, ეს არ იქნება საჯარო სამსახური. სპეციალისტები წარმოდგენილ პროექტებს განიხილავენ, მიიღებენ გადაწყვეტილებებს და შემდეგ წარუდგენენ მთავრობას, ანუ დეპარტამენტს. ჩვენ ენის კანონზე მუშაობა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დავიწყეთ და მაშინვე გვქონდა აზრი, რომ, თუკი რაიმე სტრუქტურა შეიქმნებოდა, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მთავრობის დაქვემდებარებაში. შევარდნაძის პერიოდში შეიქმნა ენის პალატა და ვინაიდან მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში იყო, მას ექვემდებარებოდა და თავმჯდომარეც თვითონ იყო. დღევანდელი კონსტიტუციის მიხედვით, ხელმძღვანელი იქნება პრემიერ-მინისტრი, დღეს ძალაუფლება მის ხელშია.

**— ზოგიერთი ბრაზობს, რომ გიორგი მარგველაშვილს ეს ფუნქციაც ჩამოართვეს.**

– არა, სანამ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, ეს პროექტი მანამდე არსებობდა. როგორც კი ახალი კონსტიტუცია დაიწერა, მაშინვე დაისვა საკითხი, რომ ენის სახელმწიფო დეპარტამენტი სტრუქტურულად დაქვემდებარებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. იყო მოსაზრებაც, რომ ნორმების დამდგენი კომისია დაქვემდებარებოდა პარლამენტს, მაგრამ ბოლოს გადაწყდა, მთავრობას დაექვემდებაროს, რადგან ასე იყო ტრადიციულად.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, კომისიისა და დეპარტამენტის მუშაობა რამდენად ეფექტური იქნება დღევანდელი დომხალის ფონზე?**

– მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საერთოდ არ არსებობს არც ენის კანონი და არც რაიმე დეპარტამენტი, მაგრამ ინგლისელების მენტალიტეტი განსხვავებულია. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა: როცა ტონი ბლერი პრემიერ-მინისტრი იყო, წერისას რაღაც სიტყვა შეეშალა და კინაღამ იმპიჩმენტი მოუწყვეს, შენ როგორ გეშლება ინგლისური სიტყვაო? ეს მათი მენტალიტეტია, სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ არის. თუ ამ ყველაფერს კანონი არ მივაშველეთ, თუ ენის ნორმები არ დავადგინეთ, უარეს ქაოსში ჩავიძირებით. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ენის დაცვაზე და არა იმაზე, რომ ვინმე დავადანაშაულოთ. ამ შემთხვევაში დიდი როლი უნდა შეასრულოს პრესამ, ტელევიზიამ და სხვა ოფიციალურმა გამოცემებმა. მაგალითად, საფრანგეთში მშვენივრად ახერხებენ ამ ყველაფრის რეგულირებას.

ჩვენი კანონპროექტითაც, ვინც სახელმწიფო კანონს დაარღვევს, მიეცემა გაფრთხილება, ასევე მიეცემა ვადა შეცდომების გამოსწორებისთვის, თუ განმეორდება, იქნება რაღაც რაოდენობის ჯარიმა და ასე შემდეგ. ეს იქნება ჩვეულებრივი ამბავი... მაგალითად, წლების განმავლობაში ვიბრძვით იმისთვის, რომ სასტუმრო „ივერიას“, დღევანდელ „რადისონს“ ჰქონდეს ფასადზე ქართულენოვანი წარწერა, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. როდესაც კანონში ჩაიწერება, რომ ნებისმიერი წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზეც, მაშინ ეს პრობლემა იოლად მოგვარდება. მეტიც, ქართული წარწერა არ უნდა იყოს ზომით მცირე ინგლისურ წარწერაზე, ზემოთ ან მარცხნივ უნდა იყოს ქართული. ვინც ამას არ შეასრულებს, ბუნებრივია, კანონის შესაბამისად დაისჯება.

**— კონკრეტულად ამიხსენით, პრესაში მდგომარეობა როგორ უნდა გამოასწოროთ?**

– თქვენ ჩემზე უკეთესად იცით, ადრე ყველა გაზეთს ჰყავდა სტილისტი. მახსოვს, გაზეთ „თბილისში“ იყო ერთი დავითაშვილი, რომელიც აქეთ გვედავებოდა და ენათმეცნიერებს გვისწორებდა ხოლმე. დღეს ეს ინსტიტუტი, ფაქტობრივად, მოშლილია.

**— მაგალითად, ჩვენ გვყავს სტილისტი.**

– ძალიან კარგი, თუ თქვენ გყავთ, მაგრამ მე ვიცი გაზეთები, სადაც ამდაგვარი რამ საერთოდ არ არსებობს. მეტიც, არის გაზეთები, სადაც არც ერთი ჟურნალისტი და ფილოლოგი არ მუშაობს.

**— არა, ეს გასაგებია, რომ გაზეთი სტილისტურად გამართული უნდა იყოს, მაგრამ რესპონდენტის ნალაპარაკევს ხომ ვერ შევცვლით? ხშირად ხმარობენ უცხო სიტყვებს, ან ჟარგონებს... მაგალითად: „მარგველაშვილის სასტავი“, „სააკაშვილმა საკითხი გააიასნა“, „ღარიბაშვილი ვნახეთ ლაივში“. ამ დროს რა ხდება, მაჯარიმებთ? თან არ დაგავიწყდეთ, ასეთ სიტყვებს ყოველთვის ვსვამთ ბრჭყალებში.**

– არა, როდესაც სიტყვას სვამ ბრჭყალებში, შეცდომად არ ითვლება. აქ ბრჭყალებს აქვს ზუსტი დანიშნულება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიტყვის შემოტანა გჭირდება და რაღაც აქცენტებს აკეთებ. თუ ამას გააკეთებ ბრჭყალების გარეშე, ეს უკვე იქნება ბარბარიზმი. ასეთი შემთხვევები დღეს უამრავია სხვა გაზეთებში. ამ დროს ჟურნალისტი არ ჯარიმდება, დეპარტამენტში იქნება სპეციალური სამსახური, რომელიც დააწესებს ენობრივ კონტროლს, შეისწავლის და გაზეთის რედაქციას მისცემს მითითებას, ანუ გაფრთხილებას. თუ არ გამოსწორდება, მაშინ ამოქმედდება ადმინისტრაციული კანონმდებლობა. მე ვიცი, რომ საფრანგეთში იყო შემთხვევები, როცა საქმე ტელევიზიის დახურვამდე და გაზეთის აკრძალვამდეც კი მივიდა. ამ ქვეყანაში ძალიან მკაცრი სანქციები მოქმედებს. ჩვენთან დახურვამდე საქმე არ მივა, მაგრამ ყველა გაზეთი უნდა გაუფრთხილდეს ქართულ ენას, ეს საერთო საქმეა.

**— რამდენიმე დღის წინ დიდი აჟიოტაჟი ატყდა, ვისაც საჯარო სამსახურში სამუშაოდ მიიღებენ, ქართულ ენაში სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება მოუწევთო.**

– კანონპროექტში არის ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც საჯარო სამსახურის მოხელეს ევალება ქართული ენის ცოდნა, მაგრამ თუ ადამიანს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე, მას გამოცდის ჩაბარება არ სჭირდება.

**— მე ბევრი ვიცი, უმაღლესი სასწავლებელი ქართულ ენაზე აქვს დამთავრებული, მაგრამ ქართულად ლაპარაკი უჭირს. ასეთები პარლამენტშიც არიან.**

– რამდენიც გნებავთ, იმდენია. ჩვენთან ამ მხრივ საკითხი დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ გეტყვით ბალტიის ქვეყნების მაგალითს: იქ არის სახელმწიფო ენის ცოდნის 4 დონე. სერტიფიკატი გაიცემა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე დონეებზე. შემდეგ ჩამოთვლილია, რომელი დონის სერტიფიკატის მქონე ადამიანს რომელ სამსახურში შეუძლია მუშაობა. ჩვენთან ასე არ არის დაზუსტებული, მაგრამ რაღაც მსგავსი იქნება – მინისტრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პირველი დონე, ხოლო დამლაგებელსა და მზარეულს ასეთი დონე არ მოეთხოვება.

**— ესე იგი, თუ ადამიანს ექნება მესამე ან მეოთხე დონის სერტიფიკატი, ის ვერ იმუშავებს მაღალ თანამდებობაზე, ხომ?**

– კი, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში მეოთხე დონის სერტიფიკატის მფლობელს უფლება აქვს, იმუშაოს მაღაზიაში გამყიდველად, ტროლეიბუსის მძღოლად და ასე შემდეგ. ჩვენთანაც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მინისტრმა, თუ სხვა თანამდებობის პირმა სახელმწიფო ენა სრულყოფილად უნდა იცოდეს. ეს ეხება საჯარო სამსახურს.

**— კი, მაგრამ ვინც უკვე მუშაობს, იმათ რას ვუზამთ?**

– აქ შეიძლება ცოტა პრობლემები წარმოიშვას... ალბათ, სამსახურიდან გაშვება არ მოხდება, მაგრამ ასეთებს მიეცემათ საშუალება, ანუ დრო, რათა ქართული ენა სრულყოფილად შეისწავლონ.

**— საჯარო სამსახურებში ხალხს შეამოწმებენ, ვინ იცის ქართული ენა?**

– ჯერ დეპარტამენტის დებულება არ არსებობს, ეს შემუშავდება ერთი თვის ვადაში. ვინ შეამოწმებს, როგორ შეამოწმებს და რა იქნება, ამას გავიგებთ ერთ თვეში, ამაზე უნდა ვიფიქროთ. ცოტა ხანში საპარლამენტო კომიტეტებში განხილვა დაიწყება იქ დაზუსტდება ბევრი რამ, მათ შორის ჯარიმების საკითხიც და მოგვიანებით ამაზეც ვისაუბროთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### „შს მინისტრი არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს“



ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა იყოს ან მძიმეწონიანი პოლიტიკური ფიგურა, ან ძალიან მაგარი პოლიციელი. ხუხაშვილის თქმით, ალექსანდრე ჭიკაიძე არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო იმართება შიშით და ავტორიტეტით. საჭიროა შიშისა და ავტორიტეტის დათესვა თუნდაც იმისთვის, რომ არ ხდებოდეს ის, რაც ხდება დღეს, მაგალითად, როცა პატრული თავის შიგნით დაგროვილ აგრესიას აფრქვევს ქუჩაში მდგარ ახალგაზრდაზე და ამის პრეცედენტები შეიქმნა ბოლო დღეებში. მინისტრი უნდა იყოს ან ძალიან მძიმეწონიანი პოლიტიკური ფიგურა, ან ძალიან მაგარი პოლიციელი, რომელმაც ნულიდან ყველა ეტაპი გაიარა და გახდა მინისტრი, რომლის ავტორიტეტიც სწორედ ამაზე დგას და ამიტომ აქვთ მის მიმართ რიდი ქვედა დონეებზე. სამწუხაროდ, მოქმედი მინისტრი არც ერთ ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს“, – განაცხადა ხუხაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „საქართველოს უკან დაბრუნება შეუძლებელია“



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინული ტელეკომპანია „ინტერის“ პირდაპირ ეთერში იმყოფებოდა, სადაც წამყვანის გარდა მან მარიუპოლის მოსახლეობის კითხვებსაც უპასუხა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა სააკაშვილს უკრაინისთვის დახმარება და მათ სამშობლოში, საქართველოში გატარებული რეფორმების უკრაინაში განხორციელება სთხოვა.

ექსპრეზიდენტის თქმით, უკრაინამ ახალი რეფორმები უნდა განახორციელოს და ამ საკითხზე მთავრობაში უკვე მუშაობენ. სააკაშვილმა ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა რუსეთის პრეზიდენტის გეგმებზე აღმოსავლეთ უკრაინასთან დაკავშირებით.

„ამჟამად პუტინს დონბასზე კონტროლის მოპოვება სურს. ეს ნიშნავს, რომ მას უნდა უკრაინელი ჯარისკაცების განდევნა და ყირიმთან კორიდორის გაკეთება. ამისთვის მარიუპოლი და სხვა დასახლებული პუნქტები სჭირდება. ვფიქრობ, უკრაინის ხელისუფლებას ეს კარგად ესმის. ცეცხლის შეწყვეტა მშვიდობას არ ნიშნავს. მთავარია, არ მოხვდეს ხელისუფლება ხაფანგში. ვლადიმერ პუტინი საქართველოში გვიწყობდა ტერაქტებს და პროვოკაციებს. მან რუს ოლიგარქ ივანიშვილს, რომელიც „გაზპრომის“ მსხვილი აქციონერია, გადაუხადა 2 მილიარდი, რათა შეეცვალათ ჩემი ხელისუფლება. თუმცა მეორე მხრივ ქართული დემოკრატია ცოცხალია, მიუხედავად სირთულეებისა და იმისა, რომ ისინი ჩვენს სამთავრობო სტრუქტურებში შემოიჭრნენ. საქართველოს უკან დაბრუნება შეუძლებელია“, – განაცხადა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)



# რა პროვოკაციებია პატრიარქის წინააღმდეგ მოსალოდნელი?

ბოლო პერიოდში ისევ გააქტიურდა ბრძოლა პატრიარქის წინააღმდეგ. მიშა სააკაშვილის ფანი, მსახიობი გია ცანაძე, იგივე „მყუდრო“, ამბობს, სანამ ისეთი მთავრობა არ მოვა, რომელიც პირველს ილია მეორეს არ დაიჭერს, მანამდე არაფერი გვეშველებაო. „იდენტობის“ შეფი, ირაკლი ვაჭარაძე კი აცხადებს, ილია მეორე საქართველოს მთავარი მტერია, რადგან დონეცკის მიტროპოლიტს დაურეკა და მხარდაჭერას დაჰპირდა, სამაგიეროდ უკრაინის პატრიარქს არ დაუჭირა მხარიო.

**რა ტალღა დაიწყო და როგორ აპირებს საზოგადოება ამ ტალღის შეჩერებას. „ალიას ყოფილი პოლიტპატიმარი, ლევან ჩაჩუა ესაუბრა:**

**— ბატონო ლევან, ბოლო დღეებია, ისევ გააქტიურდა ბრძოლა პატრიარქის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ ამას ცნობილი სახეები ამბობენ. რაზეა გათვლილი ეს წერტილოვანი დარტყმები?**

– სამწუხაროდ, აი, ასეთ „გამოჩენილ ქართველებს“ აფინანსებენ და უთმობენ ნებისმიერ ტელეეთერს დღეს საქართველოში. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან სულ რაღაც ორ წელიწადში მოხდა თითქმის ყველა მაღალჩინოსნის, პარლამენტარის, პოლიტიკოსის, არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ საზოგადო მოღვაწეების სრული ლუსტრაცია... პატარა ერი ვართ და ჩვენში ისედაც არაფერი იმალება, მაგრამ ახლა უფრო თვალნათელი გახდა, ვინ ვის ინტერესებს ემსახურებოდა, ვინ რისთვის და ვისთვის იღვწის დღესაც... ის, რაც დღეს ხდება, აშკარა დევნაა ჩვენი ეკლესიისა იმ სულგაყიდული ადამიანების და მათი წამქეზებელი ძალების მხრიდან. უკვე არავისთვის დამალული აღარაა, რომ ე.წ. ლიბერალურ-ლგბტ უფლებადამცველების ძირითადი მიმართულება გახლავთ ანტიმართლმადიდებლური და ანტიეკლესიური კამპანია, რომელიც, ღვთის შეწევნით, საქართველოში მათთვის არასახარბიელოდ წარიმართა.

რად ღირს მარტო იმის გახსენება, რომ 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესასწაულად დაწესდა და ანტიდისკრიმინაციული კანონის უმტკივნეულოდ და ჩუმად მიღება ვერ მოხერხდა, ცოდვის დამკანონებელი ხელისუფლება ეკლესიის მხრიდან მხილებულ იქნა, ისე, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ქართველობის თითქმის 70%-მა უარი უთხრა, როგორც წინა ურჯულო ხელისუფლების კოჰაბიტირებულ ნარჩენებს, ასევე ახალ ხელისუფლებას და საერთოდ არ მივიდა ხმის მისაცემად. ბოლოს რევანშისტულ მცდელობას ჰქონდა ადგილი „კაზანტიპის“ გამრყვნელი „რესპუბლიკის“ დაარსებით, უნდოდათ საქართველო გადაექციათ სექსინდუსტრიულ ქვეყნად, თუმცა ღვთის წყალობითა და ეკლესიის აქტიურობით ეს პროცესიც კრახით დასრულდა და ეს ძალები მორიგი შეტევისთვის ემზადებიან... ვერ მოუნელებიათ, რომ პატრიარქი დღემდე ყველაზე დიდი ნდობით გამოირჩევა (ბოლო გამოკითხვით 90%-ზე მეტი უცხადებს მას ნდობას). ამიტომაც გადაწყვიტეს ამ კამპანიის გააქტიურება, რადგან, თუ გსურს საზოგადოება ადვილად დაიმორჩილო და მართო, მას ჭეშმარიტებისა და ეროვნული ინტერესების დამცველი ადამიანები პროგრესის მოწინააღმდეგე რეტროგრადებად უნდა დაუსახო, მედროვენი და გამყიდველები კი – გმირებად. თუმცა, ამას მათთვის შედეგები მოაქვს, რადგან რწმენა როგორც ლურსმანი ისეა, რაც უფრო ურტყამ, მით უფრო ღრმად ჩადის...

**— ხელისუფლებაში ბევრი იჩემებს ეკლესიურობას, მაგრამ ჩუმად არიან. ეს ხალხი რატომ დუმს?**

– არავის აწყობს ქვეყანაში ხელისუფლებაზე დიდი რეიტინგის მქონე ინსტიტუციის არსებობა, ამიტომ თვად სახელისუფლებო შტოებში არიან ძალები, ვინც ფარულად, ზოგიც კი ღიად აკრიტიკებდა ეკლესიას, ასევე გვახსოვს ბატონ ბიძინა ივანიშვილის ღია განცხადება იმის თაობაზე, რომ ეკლესია და პატრიარქიც უნდა ვაკრიტიკოთ, ეს ნორმალური პროცესიაო, რითაც, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აენთოთ არასამთავრობოებს. კიდევ მრავალი პროვოკაციაა მოსალოდნელი ამ ხალხისგან სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ეკლესიას ესენი ვერ მოერევიან.

**— რა განწყობაა საპატრიარქოში, სასულიერო პირებთან ერთად ხომ არ გეგმავთ რამეს პატრიარქზე მორიგი შემოტევის გამო?**

– სულ მალე დადგება დრო და ყველა იმ არასამთავრობოს წარმომადგენლები, რომლებიც უცხოეთიდან სწორედ ანტიეკლესიური და ანტიეროვნული საქმიანობის საწარმოებლად ფინანსდებოდნენ, პასუხს აგებენ. იმედია, ქართველობა სიღრმისეულად შეაფასებს მიმდინარე მოვლენებს და საკადრის პასუხს გასცემს ამ კატეგორიის წარმომადგენლებს. ასეთი პროვოკაციული გამოხტომები მიზნად ისახავს მათი ყურადღების ქვეშ მოქცევას, ოცნებობენ, რომ იქნებ ვინმე ფიზიკურად შეეხოს და ერთ ამბავს ატეხენ. ეს ესმის ჩვენს ხალხს და ჯერჯერობით ითმენს ამ ვიგინდარებს, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

ეს ყველაფერი მოჰყვა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას. ამან არასამთავრობოებს მისცა ბიძგი, ის გაეკეთებინათ, რაც არ მომხდარა ნაციონალების დროს. გახსოვთ „ოცნების“ მოეკლესიურო პარლამენტარები ცდილობდნენ, ეთქვათ, რომ კანონი უწმინდესთან იყო შეთანხმებული, სინამდვილეში კი 17 წელია ეკლესიის მრევლი ვარ და არ მახსენდება, პატრიარქს ორჯერ გაეკეთებინოს ერთი და იგივე განცხადება, როგორც ანტიდისკრიმინაციულზე გააკეთა. როცა პატრიარქმა თქვა, რომ პარლამენტმა ცოდვა დააკანონა, გუგული მაღრაძემ იცით, რა თქვა? ეკლესიამ კი ბატონო, უნდა თქვას თავისი სიტყვა, მაგრამ ჩვენ სახელმწიფო ვართ, კანონების მიღება ჩვენი საქმეა და ჩვენ ვიცით ჩვენი საქმისო. ყველაზე შეფარული, რაც „ოცნების“ დეპუტატებმა გააკეთეს, იყო ის, რომ როცა მიხვდნენ ეკლესია თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას, ახლა გადავიდნენ ეკლესიის წინააღმდეგ შემდეგ ეტაპზე. ისინი ცდილობენ ეკლესიისა და სახელმწიფოს გათიშვას ერთმანეთისგან. ახლა გამოდის ისე, რომ ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. ცდილობენ, საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გამიჯნონ ეკლესია და წარმოაჩინონ, როგორც ცალკე განყენებული ინსტიტუტი, რომელიც რას იტყვის, ყურადღება არ უნდა მიაქციო, სამაგიეროდ იქნება სახელმწიფო, რომელსაც არანაირი სულიერება არ ექნება. უნდათ, გაწიონ ეკლესია გვერდზე და თავისი საქმე აკეთონ, რომ ვალდებულებები შეასრულონ. ეს მათ არ გამოუვათ, რადგან ადამიანი ვერ გამოიყოფა საზოგადოებისგან. ეს უშედეგო მცდელობა იქნება. ცუდს რომ აკეთებენ „ნაციონალების“ მომხრეები, ეს გასაგებია, მაგრამ ცუდი ხერხი აირჩია ხელისუფლებამაც.

**— ამბობთ, რომ პროცესი შეუქცევადი იქნება, რა სახის პროვოკაციებია მოსალოდნელი, გაქვთ ინფორმაცია?**

– პერფორმანსები, დროდადრო გამონათქვამები ამა თუ იმ ადამიანების მხრიდან, რომელიც იქნება ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით. საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ რაც არ უნდა თქვან ვაჭარაძეებმა და სხვებმა, ყურადღება არ უნდა მიაქციო, მაგრამ ასე არაა. ეკლესიის მსახურს ნაკლები ყურადღება ეთმობა, სამაგიეროდ ტელევიზია ყურადღებას უთმობს სწორედ ამ დაფინანსებულ ადამიანებს. ეს ადამიანები რაც უფრო ჩაგრულად წარმოაჩენენ თავს, უფრო მეტად მყარად იქნებიან ფინანსურად. წარმოიდგინეთ, რომ ფულს უხდიან და აქტივობებს უკვეთენ ისე, რომ სულ არ აინტერესებთ, ვინ და რა შეუქმნით პრობლემებს ამ აქტივობებში. როცა მიზანს ვერ მიაღწევენ, დონორები სახსრებს უწყვეტენ და გამწარებულები არიან. ამიტომ თუ უნდათ, გრანტები მიიღონ, ამ მიმართულებით უნდა აკეთონ განცხადებები. ასე რომ, იგნორი გამართლებული არაა, მათ მეტი პროპაგანდის საშუალება ეძლევათ და საპასუხო სიძლიერის გამოვლენა ამ პროპაგანდის წინააღმდეგ ვერ ხერხდება. ზნეობრივი ხელისუფლება ვაჭარაძისნაირებს ხმის ამოღების უფლებას არ მისცემდა და საკადრისს მიუზღავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. მაგრამ ყველაფერი იმ ჩარჩოებში ჯდება, რაც მიიღეს.

**— ანტიდისკრიმინაციული კანონის გაწვევაზე ხელმოწერები გროვდებოდა. რა ეტაპზე ხართ?**

– შევაგროვეთ ხელმოწერები, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ქართველებს გვჩვევია, ეს ხელმოწერები მოხდა სპონტანურად და არაორგანიზებულად. მნიშვნელოვანი საკითხები არ არის გათვალისწინებული.

**— რას გულისხმობთ?**

– ამ ხელმოწერების შეტანა პარლამენტში როგორ წარმოგიდგენიათ, ვინ გაუწევს მას ინიცირებას, როცა უკლებლივ ყველა პარლამენტარს ხელი აქვს მოწერილი ანტიდისკრიმინაციულ კანონზე? ამიტომ სხვა საკითხებს შევიმუშავებთ. ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ, ქართველობამ უნდა გავაცნობიეროთ რეალობა და ამ მოჯადოებული წრიდან უნდა გამოვიდეთ. ერთი და იგივე სახეები რომ გვყავს 30 წელი და ამჯერად ყველას ლუსტრირებაა მომხდარი, არჩევნებზე უნდა ვუთხრათ ყველას უარი. შორს არაა ის დრო, როცა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია მოხდება და ამჯერად თუ გვეშველება. ის 70 პროცენტი, რომელიც არც „ოცნებას“ ენდობა და არც „ნაციონალებს“, სწორედ ამ მოძრაობას ენდობა. ამ დროს ვაჭარაძეებისა და მეხუთე კოლონის ბოგინი საქართველოში დასრულდება.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უსუფაშვილმა მანდატურებს ჯოხის გამოყენებისკენ მოუწოდა



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ბიუროს სხდომაზე დეპუტატების ერთმანეთს შორის საუბარმა და მათი მხრიდან გამოჩენილმა უყურადღებობამ გააბრაზა. უსუფაშვილი საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებდა, როცა მის პარალელურად, გოგი თოფაძე და კახა ოქრიაშვილი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. უსუფაშვილმა თავდაპირველად კოლეგებს საუბრის შეწყვეტისკენ მოუწოდა. მისმა ამ მოწოდებამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, პარლამენტის თავმჯდომარემ მანდატურებს მიმართა, დაკისრებული ფუნქცია შეესრულებინათ.

„თქვენ დასაჯდომად არ შემოსულხართ. თუ პატივისცემა არ აქვთ ხალხის, ავილოთ ჯოხი და ამით ვიმუშაოთ“, – მიმართა უსუფაშვილმა მანდატურის თანამშრომლებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შს მინისტრის მოადგილემ შსს-ს აკადემიის სამაგისტრო პროგრამა წარადგინა



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ შსს-ს აკადემიის „საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამა წარდგინა, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია, რადგან ორიენტირებულია სამართალდარღვევათა პრევენციაზე. იზორიას განცხადებით, აკადემიას მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყება. პროგრამა უფასოა და მასზე ის სტუდენტები მიიღებიან, რომელთაც აქვთ სამართლის ბაკალავრის დიპლომი და გავლილი აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისთვის საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე სათანადო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი საპოლიციო ფუნქციების განმახორციელებელი, აკადემიური განათლების მქონე თანამშრომლები, რომლებიც იქნებიან კანონის უზენაესობის, დემოკრატიული და ჰუმანური ღირებულებების მატარებელნი. შს მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა ასევე იმაზეც, რომ სამართლის ბაკალავრებს, რომლებიც ორწლიან პროგრამას გაივლიან, სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმების რეალური პერსპექტივაც ექნებათ. შსს-ს აკადემიაში სამაგისტრო პროგრამის წლევანდელ კურსზე განცხადებების მიღება 18 სექტემბრამდე გაგრძელდება. (ნიუპოსტი)

## პოლიციელმა მითხრა, რომ მოქალაქის შეურაცხყოფის უფლება აქვს — დათუნა სულიკაშვილი შსს-ს მიმართავს



დიზაინერი დათუნა სულიკაშვილი შს მინისტრს წერილით მიმართავს:

– ბატონო მინისტრო, პოლიტიკური განცხადების გაკეთებას ჩვეულებრივ ვერიდები ხოლმე და არასდროს მქონია სურვილი, პოლიტიკურ პროცესებში ჩავრეულიყავი, მაგრამ დაწყებულმა რეიდებმა ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა. შაბათს, 6 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 11 საათზე მეგობართან ერთად, ავტომანქანით ნათესავის სანახავად მივდიოდი. ავტომანქანა მის სახლთან, ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე გავაჩერეთ. ამ დროს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟიც გამოჩნდა (ნომრით №7204). პოლიციელი მანქანიდან გადმოვიდა, ჩვენკენ გამოემართა და მანქანის მინაზე უხეშად რამდენჯერმე დააბრახუნა. შუშა ჩამოვწიე და ვიკითხე, რა ხდებოდა. პატრულმა უხეში ტონით მანქანიდან გადასვლა მომთხოვა. კვლავ ვიკითხე მიზეზი, რაზეც პასუხად მივიღე: „შენი საქმე არ არის, გეუბნები, გადმოდი მანქანიდან!“ რის შემდეგაც ის თავად აღებს კარს და ჩემს გარეთ გადაყვანას ცდილობს. მანქანიდან გადმოსულმა კვლავ ვიკითხე უხეშობის მიზეზი და პასუხად ისევ: „შენი საქმე არ არის!“ მივიღე. უშედეგოდ ვცდილობდი მისი ვინაობის დადგენას, ისე, როგორც ამის უფლებას კანონი მაძლევს. ჩემს მორიგ კანონიერ მოთხოვნაზე, დაესახელებინა ვინაობა, მან ფიზიკური შეურაცხყოფით, კერძოდ, ხელის კვრით მიპასუხა და განზე გადგომა მომთხოვა. ამასობაში ნათესავი ქალბატონი, რომლის სანახავადაც ვიყავით მისული, თანმხლებ პირთან ერთად მანქანით მოვიდა. ისიც დაინტერესდა, რა ხდებოდა. პატრულმა მას ვინაობა გამოჰკითხა. ქალბატონის პასუხზე, რომ დეიდა იყო, პოლიციელმა მას უხეშად, შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ხოდა, წადი შვილს მიხედე, აქ რა გინდა, ბიჭები არიან, შარვლები აცვიათ და მიხედავენ თავს!“ – ხოლო მეორე ქალბატონს მოსთხოვა: „მანქანით ქუჩაში ნუ დგახარ, გაიარე დროზე!“ ეს ყველაფერი მისი ხელების ქნევისა და ყვირილის ფონზე ხდებოდა. მე ჯიუტად ვითხოვდი მის სახელსა და გვარს, რის პასუხადაც დამცინავი პასუხი მივიღე: „წადი, რძე დალიე, ვინ ხარ ვაფშე!“, ხოლო კითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას მოქალაქეების შეურაცხყოფის უფლება, პასუხად ვიღებდი: „მაქვს!“

ამის შემდეგ ის მანქანისკენ გაემართა და ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ვინაობა მანამ არ გაამხილა, სანამ მისმა მეწყვილემ, რომელიც ამ დრომდე მანქანაში მშვიდად აკვირდებოდა პოლიციელის მიერ მოქალაქის შეურაცხყოფის ფაქტს, არ მოუწოდა, ჩვენთვის ვინაობა გაემჟღავნებინა. გაბრაზებულმა პატრულის თანამშრომელმა სახელი მოგვაძახა და წავიდა. სამართალდამცავთა წასვლის შემდეგ მე ჯერ 112-ს, ხოლო შემდეგ გენინსპექციას მივმართე. მათ შემთხვევის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჩაიწერეს და რამდენიმე დღე ითხოვეს გამოძიებისთვის.

ბატონო შინაგან საქმეთა მინისტრო, ეს და სხვა მრავალი შემთხვევა მარწმუნებს, რომ პოლიციელის მხრიდან მოქალაქის შეურაცხყოფა ხშირად დაუსჯელი რჩება. ამის გამო იძულებული ვარ პირდაპირი კითხვებით მოგმართოთ: თქვენი ბრძანებით ტარდება ასეთი რეიდები? ეს ხომ უკანონოა? ან, საერთოდ რეიდები დანაშაულის კლებას იწვევს? განა უპრიანია, პოლიციელები ადამიანებს მიეჭრან, ხელი ჰკრან და შეურაცხყოფა მიაყენონ? ნუთუ პოლიცია გილახავთ სახელს და აღარ გემორჩილებიან? პოლიცია დამნაშავეებს უნდა ეძებდეს თუ ჩემნაირ კანონმორჩილ ადამიანებს უნდა უქმნიდეს პრობლემებს? მოვითხოვ სათანადოდ, კანონის ფარგლებში დაისაჯოს ჩემი და სხვისი უფლებების დამრღვევი პოლიციელი სოსო ჯორბენაძე.

აქამდე თქვენი სახელი და გვარი არ ვიცოდი. სამწუხაროდ, ახლა ვიცი, – წერს სულიკაშვილი.

*newposts.ge*

## ინგა გრიგოლიასა და ნანუკა ჟორჟოლიანის ბრინჯის ათდღიანი დიეტა



ცნობილია, რომ ბოლო დროს ქართველი ტელეწამყვანები წონაში დასაკლებად დიეტებს იცავენ. პერიოდულად სტატუსებს სოციალურ ქსელში აქვეყნებენ და საკუთარ დიეტებზე წერენ. მათ შორის გამორჩეულები არიან ინგა გრიგოლია და ნანუკა ჟორჟოლიანი.

ნანუკა დიდი ხანია, რაც წონას ებრძვის და დიეტების გარდა მასაჟებსაც მიმართავს.

მიუხედავად იმისა, რომ მცდელობას არ აკლებს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკრანი ნებისმიერ ადამიანს მინიმუმ ხუთ კილოგრამს უმატებს, ამიტომ წვალებით დაკლებული რამდენიმე კილოგრამი მაყურებლისთვის რთულად აღსაქმელია.

– ხვალიდან ბრინჯის დიეტას თუ არ დაიწყებ, ხმას არ გაგცემ, – ეს სტატუსი ინგას ქალიშვილმა დედას სოციალურ ქსელში გამოუქვეყნა. თუმცა ინგამ შვილის სტატუსის ქვეშ კომენტარი დაწერა, რომ დაბერდა და ველარ ქაჩავდა.

მარიამის სტატუსს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა და სთხოვეს, დიეტის შემადგენლობა დაეწერა.

დიეტა არც ისე მარტივია, ათი დღის მანძილზე მხოლოდ მოხარშული ბრინჯი უნდა მიირთვა. შეგიძლია დღეში ერთი ქვაბიც კი დააგემოვნო. დღის ნორმაა ასევე 1 ქილა მაწონი, რომლის გადანაწილებაც მთელ დღეზე შეგიძლიათ.

თუ დიეტის დაცვას გადაწყვეტთ, აუცილებლად უნდა მიიღოთ დღეში 3 ლიტრამდე წყალი.

როგორც ჩანს, დიეტა მართლაც ეფექტურია, რადგან სტატუსის ქვეშ ნანუკა ჟორჟოლიანის კომენტარიც აღმოვაჩინეთ.

– მეშვიდე დღეა ვიქცევი ისე, როგორც ჯარისკაცი. ანუ სრული სიზუსტით ვიცავ + მასაჟი = უკვე 6 კილოს. ინგა დაიწყე!!! – წერს ჟორჟოლიანი.

*marao.ge*

## მაია დარსმელიძე: „როდემდე ეგდებით ჩუმად, ჩმორებო? კიდევ რამდენი უნდა მოკლან...“



– მოკლეს დაჩი დარჩია... როდემდე ეგდებით ჩუმად, ჩმორებო? კიდევ რამდენი უნდა მოკლან, რომ საკმარისი იყოს თქვენი გამოფხიზლებისთვის? – წერს მაია დარსმელიძე სოციალურ ქსელში.

*newposts.ge*

## მარიამ საჯაიამ მოხალისედ დაიწყო მუშაობა



პარლამენტარმა მარიამ საჯაიამ მოლაშქრეთა ეროვნულ ფედერაციაში დაიწყო მუშაობა. ამის შესახებ მარიამმა საკუთარ „ფეისბუკზე“ დაწერა. ახალმა ამბავმა მისი მეგობრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ზოგი წერდა, რომ ახალი ფორმა მარიამს ძალიან უხდებოდა. მარიამის ახალ სამსახურთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა „რუსთავი 2“-ის დირექტორმა ნიკა გვარამიამ.

– შენ რაღაც შეთხლეშილი ხარ მაგ მოლაშქრეთა ეროვნულ ფედერაციაზე და მის ივენთებზე, და რაშია საქმე?

ნუ, პარლამენტი რომ მოგბეზრდა, გასაგებია, – წერდა ნიკა გვარამია.

მოგვიანებით მარიამმა ნიკას შემდეგი კომენტარით უპასუხა:

– რა მომბეზრდა, რას ამბობ. ეს დამატებითი, ვოლუნტიერობა-soul feeding ამბებია, რაც არანაკლებ გვაკლია ქვეყანაში.

*reitingi.ge*

## როგორ გადაიხადა ირინა ონაშვილმა დაბადების დღე



მოდელი ირინა ონაშვილი ექვს სექტემბერს იუბილარი იყო. ამ დღის აღსანიშნავად ყველა მისი მეგობარი შეიკრიბა და როგორც სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტოებიდან ჩანს, მეგობრებმა ერთად კარგი დრო გაატარეს.

მეორე დღეს ნინა წკრიალაშვილი წერდა, საშინლად მტკივა თავი, მგონი, სჯობდა, საერთოდ არ დაგეპატიჟეო.

ირინას დაბადების დღეზე პროექტ „ორი ვარსკვლავის“ თითქმის ყველა მონაწილე იყო. არ იყო თავად ირინას პარტნიორი გიორგი მახარაშვილი, ვისთან ერთადაც ირინამ პროექტი მოიგო. გიორგის სწორედ ირინას დაბადების დღეზე გადაუდებელი სასწრაფო დახმარება დასჭირდა.

როგორც ჩანს, საზოგადოების ნაწილის კრიტიკამ პროექტის მონაწილეები უფრო დააახლოვა ერთმანეთს.

*reitingi.ge*

## რომან გოცირიძე: „ბლატნოი“ ნომრები, ქურდული ცნობიერების ეს გადმონაშთი, დასწრებაზეა




ეკონომისტი რომან გოცირიძე ახალ სანომრე ნიშნებთან დაკავშირებით „ფეისბუკის“ გვერდზე წერს.

– პრესტიჟული ნომრებისთვის თავპირისმტვრევაა! მანქანის ახალი სანომრე ნიშნების გამოცვლა 2020 წლამდე სავალდებულო არაა. მიუხედავად ამისა, მიაწყდა ხალხი პოლიციას (ახლახან ვუყურე სიუჟეტს). „ბლატნოი“ ნომრები, ქურდული ცნობიერების ეს გადმონაშთი, დასწრებაზეა. თუ პრესტიჟის „გამომუშავება“ ძნელია, ყიდვა ძალიან მარტივია.

ამას სარგებელიც მოაქვს საზოგადოებისთვის: ჯერ ერთი, ბიუჯეტს ავსებენ, მეორეც, თუ რაიმეს დააშავებენ, სწრაფადვე გამოავლენენ. მათი დამახსოვრება ხომ ადვილია?!

ახია მაგათზე.

P.S. „ანტიბლატნოურმა“ განწყობილებამ ერთ რამეში ნამდვილად დამაზარალა და ვნანობ. ჩემს ახლობლებს კი არა, ხანდახან მეც არ მახსენდება ჩემი მობილურის უბრალო ნომერი. არ შეიძლება ყველაფერში პრინციპების დაცვა!:), – წერს რომან გოცირიძე.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



გურული ბაღანა ზღვის პირას ზის. ტურისტი „მზიანი დილიჟანიდან“ ეკითხება:

– ვაა, შენ წყალში რატო არ ჩადიხარ?

– ზღვაში რა ჯანდაბა მინდა?! ცურვა მე არ ვიცი და მოფსმით ჯერ არ მეფსმება!..

*****

13 წლის ნინიკო, როცა სახლში დაბრუნებულმა დედა სკოლის ფორმაში გამოწყობილი დაინახა, მიხვდა, რომ ღამის გათევა ბებიასთან მოუწევდა...

*****

გვარიანად მოხუცებული ორი ქალი ჭორაობს:

– გუშინ ტელევიზორში ბრიჯიტ ბარდო აჩვენეს – როგორ ცხოვრობს, როგორია, რას აკეთებს... გახსოვს, მთელი ახალგაზრდობა რომ ვოცნებობდით, მას დავმსგავსებოდით?

– კი, როგორ არ მახსოვს!

– ჰოდა, აგვიხდა ოცნება...

*****

ტყუპი ძმა ჯარში გაიწვიეს. სამედიცინო შემოწმებაზე ცალ-ცალკე შეიყვანეს. პირველი კაბინეტიდან გამოდის, მეორე ეკითხება:

– რაო, რა გითხრეს?

– „დამბრაკეს“!

– აუ, მიდი, ჩემს ნაცვლადაც შედი, რა...

რამდენიმე წუთში ტყუპისცალი გამოვიდა და:

– შენ ჯანმრთელი აღმოჩნდი!..

*****



ნარკომანს პირველი ღამე აქვს. ცოლს ეკითხება:

– აუ, შენ ქალიშვილი ხარ?

– კი...

– აუ, ახლა ამას ეჯაჯგურე კიდე!..

*****

ქმარი ცოლს:

– ძმაკაცებთან ერთად ფეხბურთის საყურებლად მივდივარ. ლუდს დავლევთ და თუ არ გვეყო, ბარში გადავინაცვლებთ. იქ შეიძლება ქალები ავყაროთ. სახლში გათხლეშილი მთვრალი მოვალ! აბა, გამოიცანი, ვინ გამხდის ფეხსაცმელებს?

– პათოლოგანატომი!..

*****

– ფეხბურთელი... არსებობს ასეთი პროფესია – ერის გასამწარებელი!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## გახსოვდეთ! შეფი ყველაფერს ხედავს, ანუ სამსახურიდან განთავისუფლების ყველაზე სულელური შემთხვევები



ბუნებრივია, ხელმძღვანელობას შედეგი სჭირდება, ნაყოფიერი მუშაობის შედეგი, რომლითაც თავადაც ისარგებლებს და ხელქვეითიც არ დარჩება უკმაყოფილო, მაგრამ, როცა საქმე აფერისტ თანამშრომლებს ეხება, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შეფი ყველაფერს ხედავს და სწორედ იქ გამოჩნდება, სადაც არ მოელით, სწორედ იმას დაინახავს, რაც არ გინდათ, რომ დაინახოს. ჰოდა, აი, სწორედ აქ დადგება სამსახურიდან განთავისუფლების საკითხი, რომელიც გასაჩივრებას არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ ექვემდებარება.

მოგიყვებით ზოგიერთი ცალტვინა ადამიანის აფერისტობებზე, რომლებიც ცდილობდნენ, როგორმე დაკისრებული მოვალეობა არ შეესრულებინათ, ან დაკავებული თანამდებობა ბოროტად გამოეყენებინათ, მაგრამ შეფი მაინცდამაინც იქ გამოჩნდა, სადაც მას არავინ ელოდა და უმუშევართა არმიის რიგებიც კიდევ უფრო გაიზარდა:

– ახლა, მოპარული ნივთები რომ ისეთ ადამიანს უნდა მიეყიდოს, რომელიც კრინტს არ დაძრავს, ამას ბევრი ლაპარაკი რაში სჭირდება, მაგრამ არა – მებაჟემ მოპარული საქონლის გაყიდვა „ებეის“ ინტერნეტ-აუქციონის დახმარებით გადაწყვიტა იმ იმედით, რომ პოლიციაცა და ხელმძღვანელობაც ვირტუალურ სამყაროსთან მწყრალად იქნებოდა. შეცდა, თანაც, როგორ მწარედ! დასაწყისში ამერიკელი მებაჟე პიტიას ბრაუნი აეროპორტის საწყობიდან ცოტ-ცოტას იპარავდა,



თუმცა მადა სულ მალე გაეზარდა და ერთ ჯერზე მგზავრები დაახლოებით 200 ათასი აშშ დოლარით აზარალა და ნაქურდალი „ებეიზე“ გამოფინა. მისდა სამწუხაროდ, შეფი ინტერნეტ-აუქციონის დიდი ტრფიალი ყოფილა და მოპარული ნივთებიც მალევე ამოიცნო. ბრაუნის სახლში პოლიციასთან მისული უფროსი თვალებს არ უჯერებდა, რადგან მის სახლში აღმოაჩინეს: 66 ფოტო და ვიდეოკამერა, 31 ნოუთბუქი, კიდევ უფრო დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა და ასე შემდეგ. ალბათ, მიხვდებით, როგორ გაგრძელდებოდა უთავბოლო ქურდის დაუფიქრებელი საქციელი.

– ემალი ბაუერი სასტუმროში გაყიდვების კოორდინატორად მოეწყო. აღმოჩნდა, რომ მას თავისუფალი დრო თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ მოუნდა, კიდევ უფრო მეტხანს დაესვენა, რაც აისრულა კიდეც. ჰოდა, ერთ-ერთ სოციალურ საიტზე პერსონალური გვერდი გახსნა, სადაც საკუთარი უსაქმურობის შესახებ ჩანახატებს აქვეყნებდა. წერა ემალი ბაუერს იმდენად კარგად გამოსდიოდა, რომ სულ მალე მისი გვერდი ძალიან პოპულარული გახდა. მოგეხსენებათ, ინტერნეტი ისეთი რამ არის, ყველას რომ მიუწვდება ხელი და ერთ არც თუ მშვენიერ დღეს უსაქმური ემალის გვერდს შეფმაც მიაგნო.



ცხადია, ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო გაყიდვების უსაქმური კოორდინატორი სამსახურიდან მაშინვე დაითხოვეს.

– ერთ-ერთი მსხვილი ბრიტანული კომპანიის თანამშრომელმა ბოსის „ფერარით“ გასეირნება გადაწყვიტა და სურვილი მაშინვე აისრულა კიდეც. როგორღაც, გასაღები ხელში ჩაიგდო და თავაშვებული რბოლაც დაიწყო, რომელიც, სამწუხაროდ, გადაყირავებით დასრულდა. ზარალის ოდენობამ 125 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რამაც ცხადია, შეფი გადარია და მდგომარეობიდან გამოიყვანა.

არ ზუსტდება კომპანიის სახელწოდება და უცნობია დამნაშავის გვარსახელიც, მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია, რომ მისი სამსახურიდან გაგდების სიჩქარე იმაზე ბევრად სწრაფი იყო, ვიდრე „ფერარით“ განვითარებული სიჩქარე.

– ფრანგული ავიაკომპანიის გამოუძინებელი თანამშრომელი სამსახურში კი მიბარბაცდა, მაგრამ ისე ეძინებოდა, გადაწყვიტა, თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში „წაეპლაცკარტებინა“. ისე მოხდა, რომ მამაკაცს ღრმად ჩაეძინა და თვითმფრინავის აფრენა მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც 350 კილომეტრი იფრინა. შეშინებულმა მაშინვე უფროსს გადაურეკა, რომელიც იძულებული აღმოჩნდა, თვითმფრინავი უკან, აეროპორტში დაებრუნებინა.




ალბათ, მიხვდით, რომ ძილისგუდა თანამშრომელს თავზე ხელი არავინ გადაუსვა, რომლის დაუდევრობამაც კომპანიას საკმაოდ დიდი ზარალი მოუტანა.

– აი, ეს შემთხვევა, ალბათ, ყველაზე უფრო ორიგინალური და ამასთანავე, სულელურია – იმისთვის, რათა სამსახურისგან რამდენიმე დღით დაესვენა, 23 წლის ჰოლანდიელმა სტივენ რეიდმა საკუთარ თავს... სცემა. ზარმაცმა ახალგაზრდამ სამართებლით ჯერ სახე დაისერა, შემდეგ კი თავში ქვა რამდენჯერმე ჩაირტყა და პოლიციაშიც გადარეკა. სამართალდამცველები მალევე მიხვდნენ, რომ ტყუილთან ჰქონდათ საქმე, რისთვისაც სტივენ რეიდს 500-ევროიანი ჯარიმა გამოუწერეს. მოგვიანებით მან ხელმძღვანელობისგან სამსახურიდან დათხოვნის შეტყობინებაც მიიღო და დარჩა ხახამშრალი, საკუთარი ჯიბის ფულის გარეშე...

***online812.ru***

## ვისაც სპერმის გასინჯვა სურს...




უკაცრავად კი ვართ ასეთი სათაურის გამო, მაგრამ სხვა ვერაფერი მოგვაფიქრდა და როცა ინფორმაციას ბოლომდე გაეცნობით, ყველაფერს თავადვე მიხვდებით.

საქმე ისაა, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ ცოტა ხნის წინ დღის სინათლეზე გამოსულა კულინარიული წიგნი, რომელშიც შესულია კერძების რეცეპტები, რომლებშიც ერთ-ერთი ინგრედიენტის სახით აუცილებლად შედის... სპერმა.

ამ უჩვეულო ნაშრომის ავტორი ვინმე პაულ ფოტენჰაუერია ამერიკიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ სპერმა ვიტამინებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების საბადოა, რომლის კერძებში დამატებაც ადამიანებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ არაერთ პრობლემას მოუგვარებს.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ინგრედიენტს აქვს „კომპლექსური და დინამიური გემო“, რომელსაც რატომღაც მზარეულები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ და არც ახლა აქცევენ.

– როცა თავს მოერევით და კერძს გემოს გაუსინჯავთ, თავადვე მიხვდებით, რამდენად ბევრი რამის მომზადება შეიძლება ამ ინგრედიენტით, – ამბობს პაულ ფოტენჰაუერი.

ცნობილია, რომ კულინარიული წიგნი ამერიკის მაღაზიებში უკვე იყიდება და 24,95 დოლარი ღირს, თუმცა ყიდულობს თუ არა მას ვინმე, ეს უკვე აღარ ზუსტდება.

***myjane.ru***

## ბრიტანელმა მეცნიერმა მომავლის ჯავშანი გამოიგონა



ნანოსტრუქტურის საფუძველზე შექმნილი მასალა მომავლისთვის იმის საშუალებას გამოიღებს, რომ მომზადდეს ახალი თაობის წარმოუდგენლად გამძლე ჯავშანჟილეტები და ჟავშანი, რომელიც დღეისთვის არსებულ ნიმუშებს თავის გამძლეობით ასჯერ, ათასჯერ და უფრო მეტჯერაც აჯობებს.

ნოტინგჰემის უნივერსიტეტის პროფესორის, იან კვი ჯუს ხანგრძლივი კვლევების შედეგად შეიქმნა „აპნანოს“ მასალის ნიმუში, რომელმაც 1,5 კილომეტ/წამის სიჩქარით გამოსროლილ ფოლადის ჭურვს გაუძლო, რომლის ზეწოლის სიმძლავრე 1 კვადრატულ სანტიმეტრზე 250 ტონით განისაზღვრა. ეს კი, თავის მხრივ, ადამიანის ფრჩხილზე ოთხი დიზელ-ლოკომოტივის დაცემის ანალოგიურია.

დაუჯერებელია, მაგრამ ბრიტანულ მედიაში აღნიშნავენ, რომ ნანოსტრუქტურის საფუძველზე შექმნილი ჯავშნის ნიმუშები ასეთი უძლიერესი დარტყმის შემდეგ ანალოგიური დაუზიანებელი მასალისგან, პრაქტიკულად, არ განსხვავდებოდა.

ცნობილია, რომ იან კვი ჯუ აღნიშნული მიმართულებით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობს. დღეისთვის მიღებული შედეგები კი მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა როდიდან მოხერხდება ასეთი გამძლე ჯავშნის ფართოდ გამოყენება, რატომღაც ამ თემაზე კომენტარს არავინ აკეთებს.

***ukr-portal.com***

## ამბობენ, შოპინგი აღაგზნებსო...



ჰოდა, თუკი ეს მართლაც ასეა, მამაკაცებს გაცილებით მეტი წინდახედულების გამოჩენა მართებთ ან კიდევ, შოპინგზე მხოლოდ თავად უნდა იარონ.

საერთოდ, დიდი ხანია, რაც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ შოპინგი სტრესის მოხსნის უებარი საშუალებაა და რომ საყიდლებზე აუცილებლად უნდა იარონ დეპრესიულმა ადამიანებმა, თუმცა რატომ და როგორ მოქმედებდა მაღაზიებში ფულის ხარჯვა განწყობაზე, ამის დადგენა ბრიტანელმა სწავლულებმა მხოლოდ ახლაღა მოახერხეს.



თურმე, კვლევამ აჩვენა, რომ როცა მყიდველები მაღაზიებში სპეციალურ შეთავაზებას ან ფასდაკლებას აწყდებიან, ემოციური აღგზნების ისეთსავე დოზებს იღებენ, როგორც ეს სექსუალური აღგზნებისას ხდება.

ბრიტანელების მტკიცებით, სწორედ ამიტომაა, რომ სპეციალური ფასების მქონე საქონელი გაცილებით უკეთ იყიდება, თუნდაც ფასდაკლება უმნიშვნელო იყოს.

ექსპერიმენტის ფარგლებში, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა, სპეციალისტები მოხალისეების ტვინის იმ ზონებს ამოწმებდნენ, რომლებიც ჩვეულებრივ, ემოციურ განწყობაზე აგებენ პასუხს. ასეთი შემოწმება ჩატარდა არა მხოლოდ შოპინგის, არამედ ეროტიკული ფილმის ყურების პარალელურად და აღმოჩნდა, რომ ორივე შემთხვევაში ტვინის ერთი და იგივე ზონები აქტიურდებოდნენ.

მოკლედ, გეუბნებით რა, მამაკაცებს ძალიან დიდი წინდახედულობის გამოჩენა მართებთ!..

***medkarta.com***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. ძველებური იალქნიანი გემი
2. ხორბლის შესანახი შენობა
3. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
4. მსახიობი ... მონტანი
5. ორგანული ნივთიერება
6. ბიბლიური ბრძენი მეფე
7. თავის ჩონჩხი
8. მისი დედაქალაქია ბაქო
9. კალათბურთელი დენის ...
10. კუნძული ეგეოსის ზღვაში
11. ფრანგული ხურდა ფული
12. ბრინჯაო
13. პულსის ადგილი ხელზე
14. ... ფოიხტვანგერი
15. მონღოლი დიდებული
16. ჯეკ ლონდონი. „მარტინ ...“
17. მიმდინარეობა მხატვრობაში
18. ცხოველი. იკვებება ჭიანჭველებით
19. ლურჯი ვეშაპის საკვები
20. მსახიობი ... ჰარისი
21. ისრაელის დედაქალაქი
22. ჯუჯა ჟირაფი
23. თევზის კვერცხები
24. ერთ-ერთი თითი
25. მისი დედაქალაქია ვარშავა
26. მოკრივე ... ჰოლიფილდი
27. ღვთისმშობელი
28. მზის ღმერთი ეგვიპტეში
29. კომიკოსი მაქს ...
30. კლდეში ნაკვეთი არქიტექტურული კომპლექსი საქართველოში
31. მხ/ფ „წითელი ...“
32. გადაშენებული ფრინველი
33. ზღვა იტალიასთან
34. წყლიდან სათვალთვალო მოწყობილ.
35. იატაკის საცხი
36. მწვანილების შეკვრა
37. მხ/ფ „... ტბა“
38. მეჯოგის ჯოხი
39. თხილამურებით სწრაფდაშვება
40. სამკურნალო მცენარე
41. გურული მრავალხმიანი სიმღერა
42. შოტლანდიის დედაქალაქი
43. 100 კაპიკი
44. მსახიობი ეფიმ ...
45. მსახიობი გოგა ...
46. თქმულება ღმერთებზე
47. „დაკარგული სამოთხე“ ძმა
48. მსახიობი ... კოლმერი
49. მსახიობი ... ჯადი
50. ცვარი
51. ქართ. მინერალ. წყალი
52. მსახიობი ... ბიტი
53. ქალაქი ბელგიაში
54. უკანონოდ მონადირე
55. ვაზის საყრდენი ჯოხი
56. მწერალი იაკობ ...
57. ბრიუს უილისი ფილმში
58. კომპოზიტორი ... პაულსი
58ა. მდინარე რუსეთში
59. მწერალი ეგნატე ...
60. დიუმა. „დედოფალი ...“
61. მწერალი ანდრე ...
62. ლეილა აბაშიძე ფილმში
63. სველი, ნამიანი
64. სელინჯერი. „თამაში ... ყანაში“
65. ფოლგა
66. გრძელი თონის პური
67. მდინარე სამხ. ამერიკაში
68. ჩუქჩების ქოხი
69. მშენებ-ლის იარაღი
70. კუნძული ატლანტის ოკეანეში
71. დაკოდილი ცხენი
72. ფიქრები მომავალზე
73. მომღერალი სელინ ...
74. ქალაქი რაჭაში
75. მსახიობი ეროსი ...
76. ბიბლიური მოსეს ძმა
77. სიმსივნის ფორმა
78. მსახიობი ... კეიტელი
79. ცეკვა მულენ-რუჟში
80. ებრაელების ისრა-ელში იმიგრაციის პროცესი
81. ქიმიური ელემენტი
82. ურუგვაის დედაქალაქი
83. ბაღჩეული
84. ბელგიის დედაქალაქი
85. ... მტრობას დაუნგრევია
86. მსახიობი ... ტაილერი
87. ხურდების შესაგროვებელი ნივთი
88. ტროას ტაძრის ქურუმი
89. სამშენებლო მასალა
90. მუცელი (მოძვ.)
91. მოქანდაკე ... ჩელინი
92. საგალობელი „...-მარია“
93. ერთკუზიანი აქლემი
94. მსახიობი შონ ...
95. თოფის დეტალი
96. ყაიმი
97. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
98. ქალაქი იაპონიაში
99. მსახიობი არკადი ...
100. ნეტარ ... მორწმუნენი
101. მსახიობი ... როტი
102. ბოჭკოვანი მცენარე
103. მეცნიერება ცხოველებ. შესახებ
104. მზის სისტემის პლანეტა
105. ბამბის მტკიცე ქსოვილი
106. ვაჟიშვილი
107. პარკოსანი მცენარე
108. არაკი
109. რიაზანოვის ფილმი
110. ძვ. სიმებიანი საკრავი
111. მწერალი ... ტოლსტოი
112. ქალაქი შიდა ქართლში
113. საერთაშორისო ორგანიზაცია
114. მდინარე საფრანგეთში
115. აივენჰოს სატრფო
116. კომედიური სცენა ფილმში
117. ... მორჩილაძე
118. რეჟისორი ... მჭედლიძე
119. ხორბლის გასალეწი მოედანი
120. ბადალი ხარისხის
121. მეტამორფოზის ბოლო სტადია
122. მდინარე იტალიაში
123. ლითონის ფული
124. ჯადოქრობა
125. მსახიობი ... გარსია
126. ინდური კაბა
127. ავსტრიის დედაქალაქი
128. მეტყველების ექიმი
129. შვედური ავტომობილი
130. ელექტრომემკვეთელი
131. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
132. კომპოზიტორი ... ყანჩელი
133. ცეცხლის დასანთები ქვა
134. მომღერალი ... ქერი
135. დიდი ჩაქუჩი
136. მინერალური წყალი
137. მზესუმზირის ტკბილეული

პასუხები: 1. კარაველა; 2. ბეღელი; 3. მარტინა; 4. ივ; 5. ანილინი; 6. სოლომონი; 7. ქალა; 8. აზერბაიჯანი; 9. როდმანი; 10. კრეტა; 11. სუ; 12. რვალი; 13. მაჯა; 14. ლიონ; 15. ნოინი; 16. იდენი; 17. იმპრესიონიზმი; 18. ჭიანჭველაჭამია; 19. პლანქტონი; 20. ედ; 21. იერუსალიმი; 22. ოკაპი; 23. ქვირითი; 24. ნეკი; 25. პოლონეთი; 26. ევანდერ; 27. მარიამი; 28. რა; 29. ლინდერი; 30. ვარძია; 31. ძახველი; 32. მოა; 33. ადრიატიკა; 34. პერისკოპი; 35. მასტიკა; 36. კონა; 37. პალიასტომის; 38. სახრე; 39. სლალომი; 40. ასკილი; 41. კრიმანჭული; 42. ედინბურგი; 43. მანეთი; 44. კოპელიანი; 45. პიპინაშვილი; 46. მითი; 47. მიქელა; 48. ველ; 49. ეშლი; 50. ნამი; 51. სქური; 52. უორენ; 53. იპრი; 54. ბრაკონიერი; 55. ჭიგო; 56. გოგებაშვილი; 57. „არმაგედონი“; 58. რაიმონდ; 58ა. დონი; 59. ნინოშვილი; 60. მარგო; 61. მორუა; 62. „ჭრიჭინა“; 63. ნოტიო; 64. ჭვავის; 65. კილიტა; 66. შოთი; 67. ორინოკო; 68. იარანგი; 69. თარაზო; 70. ისლანდია; 71. იაბო; 72. ოცნება; 73. დიონი; 74. ონი; 75. მანჯგალაძე; 76. აარონი; 77. მიომა; 78. ჰარვი; 79. კანკანი; 80. ალია; 81. იოდი; 82. მონტევიდეო; 83. ნესვი; 84. ბრიუსელი; 85. რაც; 86. ლივ; 87. ყულაბა; 88. ლაოკოონი; 89. გაჯი; 90. სტომაქი; 91. ბენვენუტო; 92. ავე; 93. დრომადერი; 94. კონერი; 95. ლულა; 96. ფრე; 97. მემ; 98. ნაგასაკი; 99. რაიკინი; 100. არიან; 101. ტიმ; 102. სელი; 103. ზოოლოგია; 104. ვენერა; 105. ბრეზენტი; 106. ძე; 107. ლობიო; 108. იგავი; 109. გარაჟი; 110. ქნარი; 111. ლევ; 112. კასპი; 113. იუნესკო; 114. ლო; 115. როენა; 116. გეგი; 117. აკა; 118. ნანა; 119. კალო; 120. მდარე; 121. იმაგო; 122. პო; 123. მონეტა; 124. მაგია; 125. ენდი; 126. სარი; 127. ვენა; 128. ლოგოპედი; 129. „ვოლვო“; 130. მონტიორი; 131. ინდიგო; 132. გია; 133. კაჟი; 134. მერაია; 135. ურო; 136. ძაუ; 37. ჰალვა. იკითხება: ველოსიპედი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ბრიტანელებს სჯერათ უცხოპლანეტელების და არ ახსოვთ, ვინ იყო ჰიტლერი



მართალია, კაცობრიობის ისტორია სავსეა ბინძური ქრონიკებით, ინტრიგებით, უბრალო სისხლით, ცხედრებითა და ასე შემდეგ, მაგრამ ამ ყველაფრის დავიწყება, ალბათ, მაინც არ ეგების.

ეს ჩვენი აზრია, მაგრამ აშკარად სხვანაირად აზროვნებენ ინგლისელები, რომლებსაც თურმე სჯერათ მარსიანელების, არამიწიერი ცივილიზაციების, მწვანეთავება არსებების და არ ახსოვთ, ვინ იყო თუნდაც შიკლგრუბერი, ანუ იგივე ადოლფ ჰიტლერი.

პრინციპში, დიდად გადასარევი ნამდვილად არ უნდა იყოს ის ფაქტი, ლონდონის რომელიმე ცენტრალურ რაიონში მცხოვრებ ადამიანს ფაშისტების მამის ვინაობა თუ არ ემახსოვრება, თუმცა, როდესაც ყოველმხრივ განვითარებული ქვეყნის პრეტენზია გაქვს, მაშინ რაღაც-რაღაცები, ალბათ, მაინც უნდა იცოდე.

როგორც ირკვევა, ამ ცოტა ხნის წინ ბრიტანეთში ჩატარდა გამოკითხვა – სჯერათ თუ არა ადამიანებს უცხოპლანეტელების არსებობის და რომელ ისტორიულ პერსონას იცნობენ ყველაზე კარგად.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 10 ათასამდე რესპონდენტიდან 57 პროცენტი დარწმუნებულია, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ და რომელიღაც პლანეტაზე ცხოვრობენ თავისთვის. სამაგიეროდ, 38 პროცენტი ამბობს, რომ არაფერი გაუგიათ ჩინგიზხანზე, 33 პროცენტმა პირველად გაიგო ბენიტო მუსოლინის სახელი და გვარი, ხოლო ჰიტლერზე არაფერი გაუგია ინგლისელების 11 პროცენტს.

აი, ასეთი შედეგი აჩვენა ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ და საინტერესოა, როგორ დასრულდებოდა, მსგავსი კვლევა საქართველოშიც რომ ჩატარებულიყო.

***lenta.ru***

## შეებრძოლეთ შემოდგომის დეპრესიას ფერთა თერაპიით



ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს თუ დავუჯერებთ, შემოდგომაზე საკმაოდ მძიმე დეპრესიით დედამიწაზე ყოველი მეხუთე ადამიანი იტანჯება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ამ მხრივ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში ყოფილა. კერძოდ, დეპრესია ყოველ მეორე-მესამე ქალში შეინიშნება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი რეკომენდაციები გაავრცელა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, რომლის შესახებაც მოკლედ ახლავე მოგითხრობთ:

ჯანმოს სპეციალისტების განმარტებით, ჩვეულებრივ, შემოდგომა ცვლის და აუარესებს ადამიანის ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობას, თუმცა არსებობს სიტუაციის გამოსწორების საკმაოდ რეალური და ადვილი გზა, რომელსაც ფერთა თერაპია ეწოდება.

მაგალითად, წითელი ფერი მაღლა სწევს სისხლის წნევას, აჩქარებს სუნთქვას, ადამიანს უფრო თავდაჯერებულს ხდის და შემოქმედებით უნარებსაც უმაღლებს.

პირველ რიგში, წითელ ფერს თვალის ბადურა აფიქსირებს, თუმცა ზემოჩამოთვლილ დადებით თვისებებთან ერთად, ის უარყოფითი გამოვლინებებითაც ხასიათდება. კერძოდ, ახდენს აგრესიის პროვოცირებას და სჯობს, თუკი წითელ ფერს თუნდაც სამოსის შერჩევისას ძალიან მცირე დოზებით გამოვიყენებთ.

ყვითელი ფერი ეხმარება ადამიანის ენდოკრინულ და მომნელებელ სისტემებს. ასევე, ხასიათდება როგორც გუნება-განწყობის ასამაღლებელი და ყურადღების კონცენტრირების ბრწყინვალე წყარო, თუმცა უსიამოვნებისთვის გვერდის ავლას ვერც ამ შემთხვევაში შეძლებთ, რადგან თუკი ყვითელი ფერი სჭარბობს, ავტომატურად ჩნდება შფოთვა, შიშის შეგრძნება, საკუთარი თავის მიმართ ნდობის დაკარგვა და ასე შემდეგ. თუკი რაიმე არაორდინარული ნაბიჯის გადადგმა ჩაიფიქრეთ, შეგიძლიათ ჩაიცვათ ნარინჯისფერი სამოსი. ჯანმოს ფსიქოლოგების განმარტებით, ეს ფერი ადამიანს საკუთარი ძალისა და ცხოვრების ნებისმიერი სირთულის დაძლევის რწმენას უღრმავებს.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საუკეთესო ფერი მწვანეა. სწორედ მისი დახმარებით შეძლებთ სისხლის წნევის დარეგულირებას, სმენის გაუმჯობესებას. გაიხსენეთ, ქირურგებს ხომ ჩვეულებრივ, მწვანე ფერის სამოსი აცვიათ. მათი თქმით, ამ ფერს შეუძლია ტკივილის გაყუჩება და თქვენ წარმოიდგინეთ, სისხლდენის შეჩერებაც კი.

ცისფერი სამოსის ჩაცმაა რეკომენდებული სამსახურში სიარულისას, მაგრამ არა ვარჯიშისას. ეს ფერი აუმჯობესებს გონებრივ შესაძლებლობებს, აი, ფიზიკურს კი ვერაფერს შველის.

– შემოდგომაზე მთავარია, არ აირჩიოთ მუქი ფერები, ამით არაერთ პრობლემას შეიქმნით, – განმარტავენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში.

***ultramir.net***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**9 სექტემბერი:** შეიძლება დღეს გარშემომყოფებთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები გაგიჩნდეთ. იქნებ უმჯობესია, საერთოდაც არავის დაელაპარაკოთ.

**კურო 22.04-21.05**
**9 სექტემბერი:** დღეს საზოგადოებაში დომინანტი პიროვნება იქნებით. თუ ვაჭრობას მისდევთ, სერიოზული შემოსავალი უნდა მიიღოთ. რაც შეეხება ყიდვას, აჯობებს, თავი შეიკავოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**9 სექტემბერი:** მარტო არაფერი მოიმოქმედოთ, რატომ უნდა დაიღალოთ, როდესაც შეგიძლიათ, არაერთი ადამიანი დაიხმაროთ. ამაზე უარს არ გეტყვიან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**9 სექტემბერი:** ეს საღამო უმჯობესია, მყუდრო ოჯახურ გარემოში ან ახლო მეგობრების წრეში გაატაროთ. ასეთ შემთხვევაში გარანტირებული იქნებით, რომ უსიამოვნებას არ გადაეყრებით.

**ლომი 23.07-22.08**
**9 სექტემბერი:** თუ რამე ინფორმაცია მიიღეთ და გადაწყვიტეთ, მის მიხედვით იმოქმედოთ, აჯობებს, არ აჩქარდეთ, ის ან არასრულია, ან მცდარი.

**ქალწული 23.08-22.09**
**9 სექტემბერი:** დღეს სხვათა აზრების მიმართ უპატივცემლობით მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ უნდობლობას გამოგიცხადებენ. ნუ იქნებით ჯიუტი, თავი მუდამ მართალი ნუ გგონიათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**9 სექტემბერი:** უმჯობესია, ეს დღე უკანა პლანზე გაატაროთ. დიდი არაფერი მოხდება, თუკი თქვენს აზრს არ გაითვალისწინებენ, სამაგიეროდ, უარყოფით შედეგებზეც არ მოგიწევთ პასუხისგება.

**მორიელი 23.10-21.11**
**9 სექტემბერი:** სანამ ყველაფერს საფუძვლიანად არ გაიაზრებთ, მანამდე არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ გადაწყვეტილება. არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაზე სწორ არჩევანშიც კი შეიძლება იყოს ხარვეზები.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**9 სექტემბერი:** ეს დღე იმ ადამიანებთან ერთად გაატარეთ, ვისი ნახვაც გსიამოვნებთ. თუ ამას არ გაითვალისწინებთ, შეიძლება ყველა და ყველაფერი შეიძულოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**9 სექტემბერი:** მზად ხართ, საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცემი პროექტი წამოიწყოთ, მაგრამ კრახის შიშით ვერ ბედავთ. თამამად იმოქმედეთ, წარმატება გელით.

**მერწყული 20.01-18.02**
**9 სექტემბერი:** კარგად გამოგივათ ყველაფერი, რაც სხარტ აზროვნებასა და სიზუსტეს საჭიროებს. სწორედ ამით დაკავდით და ფიზიკური დატვირთვისგან თავი შეიკავეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**9 სექტემბერი:** გარკვეული პრობლემის გადასაწყვეტად საკმაო გონებრივი ძალისხმევა მოგიწევთ. დამშვიდდით და ყველაფერი დეტალურად გაიაზრეთ, აჩქარება საჭირო არ არის.

## ბანკი მწეველ თანამშრომლებს ათავისუფლებს, მწეველ კლიენტებს კი – აჯარიმებს



ვისაც სურს, რომ სამსახური ჰქონდეს და უმუშევრობისგან ნევროზი არ გაუჩნდეს, სიგარეტის მოწევა უნდა გადააგდოს, ხოლო ვისაც სურს, რომ სრულყოფილი მომსახურება მიიღოს, მავნე ჩვევაზე უარის თქმა მასაც მოუწევს.

სწორედ ასეთი სტრატეგია შეიმუშავა ინდური პენჯაბის შტატის ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელობამ, რომელიც მწეველ თანამშრომლებს სამსახურიდან ათავისუფლებს, ხოლო მწეველ კლიენტებს სესხს გაცილებით დიდი პროცენტით აძლევს, ვიდრე არამწეველებს.

– ვერ ვიტან მავნე ჩვევებს და ვფიქრობ, ჩემი პირველი მთავარი მოვალეობაა, თანამშრომლები არ ეწეოდნენ. ბანკში მხოლოდ ჩაის დალევაა შესაძლებელი, მწეველების ადგილი ჩემს ბანკში არ არსებობს, – ამბობს ინდური ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე შამჯიბჰაი კჰუნტი.

მისივე თქმით, მავნე ჩვევებისგან თავისუფალი ატმოსფერო უზრუნველყოფს დროის ეკონომიას, ზიანს არ აყენებს ბუნებას და რაც მთავარია – ადამიანის სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

ისე, ურიგო არ იქნება, ასეთივე წესები ყველა ხელმძღვანელმა დააწესოს საკუთარ დაწესებულებაში, მაგრამ, პირველ რიგში, მავნე ჩვევებისგან თავად უნდა განთავისუფლდეს. იმედია, ამაში ყველა დაგვეთანხმება.

***today.kz***

## ყინულების დნობის გარშემო აგორებული პანიკა უადგილო ყოფილა



ძალიან ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ავრცელებს არცთუ სახარბიელო დასკვნას, რომელშიც ნათქვამია, რომ ყინულის საფარის დნობა გლობალური დათბობის თანამდევია და რომ მსოფლიოს საშინელი დღეები ელის. ეს ყველას ახსოვს და ალბათ, ბევრჯერაც დაფიქრებულხართ, რა გვეშველება, თუკი კლიმატის ანომალიურ ცვლილებებს მეცნიერებმა გეზი ვერ შეუცვალეს. რეალურად აღმოჩნდა, რომ ყინულის დნობაში სანერვიულო არაფერი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც.

სულ ცოტა ხნის წინ თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოების წყალობით ცნობილი გახდა, რომ გრენლანდიისა და დასავლეთ ანტარქტიკის ყინული იმაზე ბევრად ნელი ტემპებით დნება, ვიდრე ამას სხვადასხვა მეცნიერი ამტკიცებს.

გარდა ამისა, ამერიკელი და დანიელი მეცნიერების ჯგუფმა, რომელიც აღნიშნულ საკითხზე კარგა ხანია მუშაობს, ისიც დაადგინა, რომ ყინულის დნობის შედეგად ოკეანეებისა და ზღვების დონე არც ისე სავალალოდაა მომატებული, როგორ საშინელ სურათსაც ზოგ-ზოგიერთები გვიხატავენ.

***litenews.org***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მიხო პარიკმახერთან დაჯდება პირის გასაპარსად. პარიკმახერი ხელში პატარა ბურთს მიაჩეჩებს:

– აჰა, ეს ბურთი პირში ჩაიდე. ლოყა გამოგებერება და ადვილად გაგპარსავ.

– რო გადამეყლაპოს?

– არაუშავრა, არაფერი მოგივა. გუშინწინ მიტოს გადაეყლაპა და დღეს მამიტანა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძბაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30